

ავტორია წიგნების

— „მხიარული რითმები“ (ორტაეპიანი კაფიები)
— „ბედისწერა“ (სენტიმენტალური რომანი)
— „ლეგენდები“ (ლექსებად)
— „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები)
— „მტევნის ნაჟური“ (ლექსები)

ვახტანგ ჭანკოტაძე



წელთაღრიცხვა თავგადასავალი

ვახტანგ ჭანკოტაძე

წელევსოფიული ისტორიული

გორი – 2006

რედაქტორი: **აკაკი ბიძინაშვილი**

წინასიტყვაობა

ტელეპათია – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს: **tele** – შორს და **pathos** – გრძნობა.

როგორც უცხო სიტყვათა ლექსიკონში (თბილისი 1989) ვკითხულობთ: „ტელეპათია არის მოვლენა, რომელიც გამოიხატება ერთი პირის ნერვულ-ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემაში მეორე პირისათვის, შორ მანძილზე. აქვე ვკითხულობთ, რომ „ამ მოვლენის მექანიზმი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის."

რუსები ამ მოვლენის შესახებ ამბობენ: „Передача мысли на растояние".

ალბათ ყველა ჩვენგანს დღესაც აოცებს ტელეპათიის ფენომენი. რამდენჯერ გვითქვამს – კაცო, ამ წუთში არ ვლაპარაკობდით მასზე, შეხედეთ აქეთ მოდისო. ხალხური გამონათქვამიც ხომ გვახსოვს, „ძაღლი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიდეო."

ცხოვრების მანძილზე, ტელეპათიის მოვლენის შესახებ, ხშირად მქონია საუბარი კომპეტენტურ პირებთან (ფიზიკოსებთან, ბიოლოგებთან, ფსიქოლოგებთან და სხვა) და მათი კომენტარების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანებს, ბუნების მიერ აქვს ეს „ნიჭი" ბოძებული და რომ თვითეულ მათგანში მეტნაკლები ინტენსიობით არის წარმოდგენილი. ამასთან, ზოგიერთ ადამიანს შეუძლია მანძილზე ინფორმაციის გადაცემაც და მიღებაც (ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად), ზოგიერთს კი უფრო „ეხერხება" ან მიღება ან მხოლოდ გადაცემა.

ისიც გამიგონია (ფიზიკოსებისაგან), რომ საქმე გვაქვს ელექტრომაგნიტური გამოსხივების (ტალღების)

სპეციფიურ სახესთან (ფორმასთან), რომელიც მჭიდრო კავშირშია ტვინის უჯრედებთან. არ ვიცი, ვერაფერს მოგახსენებთ ამ კუთხით. იმას კი გეტყვით, რომ პირადად მე საკმაოდ მძლავრად მაქვს განვითარებული (უფრო სწორად, ბუნებისგან ბოძებული) ინფორმაციის შორი თუ ახლო მანძილიდან, მიღების უნარი (გადაცემის უნარზე ვერაფერს გეტყვით, არ შემიმოწმებია, მაგარმ ალბათ ვერც შევამოწმებ, რადგანაც აზრის გადაცემა ხდება ჩვენდაუნებურად, რაღაც უცნობი გარე ზემოქმედებით. სპეციალურად ფიქრის გადაცემა სერიოზული პრობლემატური საკითხია, თუმცა მქონია შემთხვევა, როდესაც წინ მიმავალი ადამიანისთვის ფეხი ამირევია ჯიუტი და მიშტერებული მზერით).

დაახლოებით ოცდაათი წლის წინ გადავწყვიტე მანძილიდან ინფორმაციის მიღების ფაქტები დამეფიქსირებინა, შემეგროვებინა და მერე გადამემუშავებინა იმ იმედით, რომ იქნებ რაიმე ზოგად დასკვნამდე მივსულიყავი, თუ რა არის ტელეპათიის არსი, როგორ ხდება ფიქრის გადაცემა ან მიღება, რა ახდენს გავლენას და ა.შ., მაგრამ...

მოხდა ისე, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჩემ თავზე გადატანილ ტელეპათიურ მოვლენათა, ალბათ ოთხმოცპროცენტზე მეტი, ან არ იქნა დაფიქსირებული, ან დაკარგა ქაღალდის ნაგლეჯებთან ერთად. რაც შემომრჩა, ვთავაზობ მკითხველს (ქრონოლოგიური მიმდევრობის დაუცველად) იმ იმედით, რომ იპოვის თავისთვის რაიმე საინტერესოს და ზოგ შემთხვევაში მართლაც გასაოცარს.

ზოგადი და ცხადი დასკვნების გაკეთება მე ვერ შევძელი. ერთია მხოლოდ, ტელეპათიურ ზეგავლენას განვიცდიდი უფრო მეტად ზამთრის თვეებში, როცა ატმოსფერო

ნაკლებად არის დანაგვიანებული, რაც შეიძლება აიხსნას ელექტრო-მაგნიტური ტალღების (ბიოდენების) გავრცელებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობით?

მასალის სიმცირემ, შეიძლება, მკითხველსაც არ მისცეს საშუალება რაიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად.

და კიდევ – იქნებ, ყოველივე ეს გამოწვეულია პლანეტების მოძრაობით, ან ზოდიაქოს თანავარსკვლავედების ზეგავლენით შესაბამისი ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების გონების (ფიქრების) ინტენსივობასა და მიმართულებებზე?! არ ვიცი!

ავტორი

რედაქტორისგან

ამ წიგნის (უფრო სწორი იქნებოდა – ფაქტების კრებულის, ფაქტებისა, რომლებიც ყველა ჩვენგანისთვის თითქოს ნაცნობია, რადგან მსგავსი რამ ყველას გადახდომია) წაკითხვამდე ვიცოდი, რომ ავტორი წერდა ლექსებს (საბავშვოსაც), მოთხრობებს, ნოველებს, ნარკვევებს და პუბლიცისტურ წერილებს და რამდენჯერმე მისი ნაშრომების რედაქტირებაც კი ავიღე ჩემ თავზე.

ახლა კი მოულოდნელობის და, თუ შეიძლება ითქვას, უცნაური მოვლენის წინ აღმოვჩნდი.

რას გავუწიო რედაქტირება? საქმე არა მაქვს არც პოეზიასთან და არც პროზაულ ნაწარმოებთან. წიგნში მოყვანილი ზოგიერთი ფაქტის ჭეშმარიტების შემოწმება შესაძლებელია, მაგრამ ეს რას მოგვცემს?! – არაფერს. მართლწერას დავუწყო კირკიტი? – რა არის საკირკიტო!?

ერთი ისღა დამრჩენია აღვნიშნო, რომ ტიტანური შრომაა გაწეული. განა თვითეულ ჩვენგანს არ ჰქონია ტელეპათიური ზეგავლენის შემთხვევები?! მაგრამ, მე ვფიქრობ, ავტორმა პირველმა შესძლო ათეული წლების განმავლობაში სკურპულოზურად მოეგროვებინა ასეთი ფაქტები და ჩვენამდე მოეტანა მისი ნაწილი (დიდი ნაწილი კი სამწუხაროდ დაკარგულია, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაობაში), თუმცა ესეც საკმარისი უნდა იყოს მკითხველის გასაოცებლად!!

შეიმჩნევა ავტორის მცდელობა – შიგადაშიგ დააფიქსიროს ტელეპათიური ზეგავლენის ფაქტის ზოგიერთი თანმდევი პარამეტრი (წელიწადის თვე, ამინდი, გეოგრაფიული ადგილი, ქარი, საათი, წუთი და ა.შ.), მაგრამ ამას არა აქვს სისტემატური ხასიათი. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ძნელი იქნებოდა რაიმე ზოგადი დასკვნის გაკეთება, თუ რა გავლენას ახდენს, ან რა ბიძგს აძლევს ესათუის გარემო პირობა, ამათუიმ ტელეპათიურ მოვლენას.

ალბათ, მაინც (ავტორიც მიუთითებს ამაზე) ტელეპათიურ მოვლენათა საიდუმლოების ახსნა უნდა ვეძებოთ ადამიანის ტვინის აგებულებასა და ე.წ. ბიოდენების ბუნების არსში.

ფაქტი კი სახეზეა – წინ გვიდევს უცნაურ მოვლენათა მთელი დასტა – ავტორის თავზე წისქვილის ქვასავით დატრიალებული.

აკაკი ბიძინაშვილი

1992 წ. 6 სექტემბერი

დაახლოებით 12 საათი

კვირა დღეა. მე და **ჯემალ ინჯია** ნარდის კოჭებს ვაწყობთ და თამაშისთვის ვემზადებით.

კედელზე ჩამოკიდებული რადიოდან ისმის რომელიღაც ლიტერატურული გადაცემის ხმები.

ჩვენ ნარდის თამაშში ჩავერთეთ და ნაკლებად გვაინტერესებს, თუ რას ლაპარაკობენ რადიოში, თუმცა მაინც აღწევს ჩვენს სმენამდე თითოოროლა სიტყვა.

ჯემალ ინჯიამ გასაგორებლად შეათამაშა კამათლები და მეკითხება, „მარსი მოდისო?“ სანამდე მე პასუხს გავცემდი, რადიოდან გაისმა — „მოდის, მოდისო.“



1987 წ. 18 თებერვალი

13 16 საათი

შესვენებაზე ფეხით მივდივარ სახლში. მივდიოდი სტალინის ქუჩის პერპენდიკულარულ (გარსევანიშვილის) ქუჩაზე.

რატომღაც გამახსენდა ჩვენი ინსტიტუტის ყოფილი **მთავარი ინჟინერი**, რომელიც სხვა სამუშაოზე გადავიდა. კარგი ხელმძღვანელი იყო და მასთან განშორებამ (სამსახურებრივად) ბევრს გვატკინა გული.

როცა გადავკვეთე სტალინის ქუჩა, დავინახე, როგორ ჩაიქროლა მანქანით ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა.

1987 წ. 18 თებერვალი

14 30 საათი

ინსტიტუტში (ქ. გორი ცხინვალის გზატკ. №9)

ჩემს სამუშაო ოთახში ვუზივარ მაგიდას და ვფიქრობ მიმდინარე საქმეებზე.

უცბათ, რაღა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად, ფიქრებით მივწვდი ე.წ. „ამხანაგურ მებაღეობაში“ ჩემს ნაკვეთს. ვფიქრობ: მალე გაზაფხული მოვა და იქნებ წელს მაინც მოვახერხო პატარა სადაჩე ბინის დადგმა-აშენება. ნეტავ როგორი და რამხელა უნდა იყოს, ან რა მასალისგან, რა ფორმის და ა.შ.

ამ დროს შემოიღო კაბინეტის კარი და შემოდის **ზაურ კიკნაძე** (მებაღეობის თავმჯდომარე), რომელმაც შემომიტანა მარტივი სადაჩე სახლის (თუ ქოხის — კარგი გაგებით) რამდენიმე ტიპიური პროექტი!!!

ამ დღეს, ამ თემაზე არავისთან არ მქონია საუბარი. ზაურის სამუშაო ოთახი ჩემგან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით და გვყოფს ოთხი თუ ხუთი კედელი.

1987 წ. 18 თებერვალი

16 40 საათი

კაბინეტში ვზივარ და ვფიქრობ: დასამუშავებელი თემის ირგვლივ დავალება შევადგინო და დღესვე გადავცე საინფორმაციო განყოფილებას, თუ გადავდო ხვალისთვის? გადავწყვიტე, რომ დღესვე დამეწერა და გადამეცა. მოვიმარჯვე ქაღალდი და კალამი.

ამ დროს რეკავს ტელეფონი; მირეკავს საინფორმაციო განყოფილების გამგე, **რ. ტატიშვილი** და მთხოვს, რომ არ დავუგვიანო დავალების გადაცემა (ტელეფონზე მოსაუბრე ერთი სართულით ზემოთაა და ჩვენ შორის პირდაპირი მანძილი დაახლოებით 80-90 მეტრია).

1987 წ. 19 თებერვალი

13 30 საათი

ტრანსპორტის მოლოდინში ვდგავარ გაჩერებაზე (ჭავჭავაძის ქუჩაზე, ახალი კინოთეატრის „გამარჯვების“ წინ). ვაპირებ წავიდე ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ტერიტორიაზე მდებარე ავტომანქანების სადღეღამისო გაჩერებაზე – იქ მაქვს ავტოფარეხი და მინდა გამოვიყვანო მანქანა.

მანქანის საბარგულში, უკვე ნახევარ წელზე მეტია, მიწყვია 46 ზომის ფეხსაცმელი **„ერთი კაცისთვის.“** ადრე დავპირდი, გიშოვი-მეთქი და მერე ის კაცი მხედველობიდან გაქრა. პირობის შეუსრულებლობა კი მაწუხებდა – ვფიქრობდი, რა მომემოქმედა. გადავწყვიტე ფეხსაცმელები მეჩუქებინა ძმაკაცის ძმაკაცისათვის, რომელსაც ასევე ესაჭიროებოდა აღნიშნული ზომა და რომელმაც იცოდა ჩემი მანქანის საბარგულში შენახული, ლამაზად შეფუთული, საზღვარგარეთული საქონლის შესახებ და რომელმაც რამდენჯერმე მითხრა: „კარგი რა რევაზიჩ, ხომ ხედავ იმ კაცს ვეღარ პოულობ, ან იქნებ საერთოდ აღარ სჭირდება და მე დამითმეო.“

ვდგავარ გაჩერებაზე და ვფიქრობ. ბოლოს და ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება, რომ ფეხსაცმებელი მივცე ძმაკაცის ძმაკაცს. ამ დროს ჩაიარა შავმა „ვოლგამ“, რომელშიც მძღოლის გვერდით იჯდა ის **„ერთი კაცი.“**

1987 წ. 19 თებერვალი

22 10 საათი, ქ.გორი

გზისპირა ოთახში ვზივარ და ვკითხულობ ლევან სანიკიძის წიგნს „დედა ისტორია.“ ვარ იმ ადგილზე, სადაც საუბარია გიორგი სააკაძეზე და მის შვილებზე (პირველად გავიგე, რომ გიორგი სააკაძეს ყოლია 8 შვილი, მათ შორის 5 ვაჟი). მეხსიერებაში ამოტივტივდა, გიორგი სააკაძის შვილის, **პაატას** მძევლად დატოვების ფაქტი, რომელიც მზაკვრულად განახორციელა შაჰ აბასმა.

საწყალი პაატა, პატარა ბიჭი, პატარა ქართველი, რომელიც სამშობლოს სიყვარულს შეეწირა. საბრალო პაატა! რაღა თქმა უნდა იგი ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ იყო მსხვერპლი, რომელსაც მისი მამული მოითხოვდა და მაინც ამაყად და ვაჟკაცურად ეჭირა თავი შაჰის კარზე. ოჰ! პაატავ, საბრალო პაატავ!

ამ ფიქრებში ვიყავი ჩაფლული, როდესაც მეზობელი ოთახიდან მომესმა ტელეფონის ზარის გაბმული ხმა, საქალაქთაშორისო ზარის ხმა. სწრაფად ავიღე ყურმილი.

გამარჯობა ძია ვახტანგ, **პაატა** ვარ, უშანგის ბიჭი... მირეკავდა ჩემი მეგობრის, უშანგი ყორანაშვილის შვილი, პაატა... თელავიდან.

შემდეგ რაზე მელაპარაკა პაატა, აღარც მახსოვს, იმდენად მოულოდნელი და უცნაური იყო ის სატელეფონო კავშირი დროსა და სივრცეში.

1987 წ. 27 თებერვალი

11 50 საათი, ქ.გორი

სამუშაო კაბინეტი. ვფიქრობ: გუშინ გადავეცი მასალები დასაბეჭდათ, ძალიან მეჩქარება, მივლინებაში მივდივარ, თან უნდა წავიღო, ბილეთიც უკვე შეძენილი მაქვს, ნეტავ თუ მომისწრებენ?..

რეკავს ტელეფონი და მატყობინებენ, რომ მასალები მზადაა და შემიძლია წამოვიღო.

ჩემი სამუშაო კაბინეტი და მბეჭდავთა ბიურო სხვადასხვა სართულებზეა, პირდაპირი მანძილი დაახლოებით 40-50 მეტრი.

1987 წ. 1 დეკემბერი

12 15 საათი, ქ.გორი

ვარ ინსტიტუტში, სამუშაო ოთახში. **ერთ-ერთი თანამშრომელი** გაგზავნილი მყავს საკონსტრუქტორო განყოფილებაში მუშა ნახაზების შესასრულებლად (ჩვენ არ გვყოფნიდა სახაზავი დაფები). ეს თანამშრომელი უკვე სამი დღეა იქ ცხადდება სამუშაოდ. ვფიქრობ – მოდი დავრეკავ და გავიგებ როგორ არის სამუშაოს შესრულების საქმე. ავიღე ყურმილი და ავკრიფე თუ არა ნომერი, შემოიღო კარები და ნახაზებით დატვირთული შემოვიდა ის **„ერთ-ერთი“ თანამშრომელი.**

ვიმყოფებოდით სხვადასხვა სართულზე, დაახლოებით 70-80 მეტრის დაშორებით ერთმანეთისგან.

1987 წ. 2 დეკემბერი

13 45 საათი, ქ.გორი

შესვენების შემდეგ მანქანით მივდივარ სამსახურში. ავტოსადგომზე (ინსტიტუტის ეზოში) გავაჩერე მანქანა და გამოვრთე ძრავა. მანამ მანქანიდან გადმოვიდოდი დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ დამეჩქარებინა სახელოსნოში „ჩაშვებული“ დაკვეთების შესრულება. ვიცი, რომ სახელოსნო ძალიან არის დატვირთული, მაგრამ ჩემი განყოფილების დაკვეთებიც რომ ფრიად საჩქაროა?! რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როგორი ენით ვესაუბრო **სახელოსნოს უფროსს,** რომ დავარწმუნო ჩემი დაკვეთების

გადაუდებლობაში? გავიფიქრე – რაღაცას მოვახერხებ-მეთქი და გადმოვედი მანქანიდან. გადმოვედი და პირდაპირ შევეჩეხე **სახელოსნოს უფროსს!** საუბარი იქვე შედგა.

1987 წ. 4 დეკემბერი

20 55 საათი, ქ.გორი

სახლში მარტო ვარ და ვუცქერი ტელევიზორს. უჩვენებდნენ ძველ ქართულ ფილმს „ამოკი“, რომელიც 1927 წელს გადაუღია კოტე მარჯანიშვილს.

ფილმის ჩვენებამდე შესავალი სიტყვით და მოკლე მიმოხილვით გამოვიდა, პროგრამის „ქართული კინოს ისტორიიდან“ წამყვანი. „ამოკი“ არის ე.წ. მუნჯი ფილმი და გახმოვანებულია მრავალი წლის შემდეგ. დაიწყო ფილმის ჩვენება და ეკრანზე გამოჩნდა რეჟისორის, ოპერატორების, მსახიობების და ათასგვარი ასისტენტების გვარები.

... რატომღაც ფიქრით გადავწვდი ჩემს სამსახურს და ისიც დავაფიქსირე, რომ სამუშაოზე დავდივარ საკმაოდ ძველი კოსტუმით. რატომ, ვფიქრობ კვლავ, ხომ მაქვს ახალი და მოდური ტანისამოსი? გარეგნულ იერსაც ხომ აქვს გარკვეული მნიშვნელობა? აი, მაგალითად **გოგი ქოქაშვილი** სამსახურში დადის ყოველთვის ლამაზად და მოდურად ჩაცმული, უბრალოდ, გესიამოვნება მისი გარეგნობა...

ამ დროს ეკრანზე გამოჩნდა წარწერა დიდი ასოებით **გივი ქოქაშვილი** და ფიქრიც შემიწყდა. ის კი ველარ გავიგე, ვინ იყო – რომელიმე ასისტენტი, კომპოზიტორი, მხატვარი თუ სხვა ვინმე...

1987 წ. 24 დეკემბერი

20 $\frac{05}{}$ საათი, ქ.გორი

ვათვალიერებ გაზეთებს და თან ცალი თვალი და ყური ტელევიზორისკენ მაქვს მიმართული.

„სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულია პროფესორ **შ.კერესელიძის** წერილი ერთგვარი საყოფაცხოვრებო მოწყობილობის შესახებ, რომელიც ძალიან ადვილი გასაკეთებელია და იძლევა წყლის საკმაოდ ეკონომიურად ხარჯვის საშუალებას.

გამახსენდა ჩემი დისერტაციის დაცვის დღე. მაშინ, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა პროფ. **შ.კერესელიძე.** ვფიქრობ – ნეტავ ის არის ამ წერილის ავტორი თუ ვინმე სხვაა, მისი მოგვარე და დატრიალდა ტვინში გვარი კერესელიძე. ამ მომენტში ტელევიზორიდან მომესმა დიქტორის მკაფიო ხმა: „დღეს ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი **არჩილ კერესელიძე** 75 წლისა იქნებოდაო!?“

1988 წ. 22 აგვისტო

11 $\frac{45}{}$ საათი, ქ.გორი

ორშაბათი. მზიანი დღეა, ოდნავ ქრის აღმოსავლეთის ქარი. საბაღე ნაკვეთში მინდა წავიდე სამუშაოს შემდეგ და მანქანით წავიყვანო **ნოდარ ოქრუაშვილიც.**

პარასკევს მას დავუტოვე ჩემი ბაღის ჭიშკრის გასაღები და თან რამდენიმე თხოვნაც დავუტოვე შესასრულებლად. ვფიქრობ სამუშაო მაგიდასთან მჯდომი: ახლა დავურეკავ და შევეკითხები – წყალი ჩამისხა თუ არა რეზერვუარში, შლანგი შეინახა თუ არა, ჟორას მისცა თუ არა ჩემთან შემორჩენილი თოხი და ნიჩაბი და აქვს თუ

არა თან (სამსახურში წამოღებული) ჩემი ჭიშკრის გასაღები.

ფიქრი არ მქონდა დამთავრებული, რომ შემოიღო კარები და შემოვიდა **ნოდარ ოქრუაშვილი** გასაღებით ხელში.



1988 წ. 26 აგვისტო

9 $\frac{20}{}$ საათი, ქ.გორი

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ვზივარ სამუშაო კაბინეტში. ავიღე ხელში გაგზავნილი წერილის ასლი და ვაპირებ შესაბამის საქაღალდეში ჩადებას.

დღეს აუცილებლად უნდა ჩავიდე (მე-2 სართულზე) ТНП-ს (სახალხო მოხმარების საქონელი) სექტორში. მახსოვს, რომ **მარინე დეკანოსიძე** უნდა გასულიყო შვებულებაში, მაგრამ ვერ გავიხსენე თუ როდიდან. ვფიქრობ უნდა მივცე თუ არა ე.წ. ყოველთვიური დავალება. ზუსტად ამ დროს რეკავს ტელეფონი. მომესალმა **მარინე დეკანოსიძე** და მთხოვა მათთან ჩასვლა, რათა რაღაც ოფიციალურ ქაღალდებზე მომეწერა ხელი.

1988 წ. 7 სექტემბერი

21 $\frac{30}{}$ საათი, ქ.გორი

ტელევიზიით, ქ.დნეპროპეტროვსკიდან გადმოსცემენ ევროპის საკლუბო ტურნირის საფეხბურთო მატჩს „დნეპრი“ – „ბორდო“. კომენტატორია გიორგი სარქისიანცი. „დნეპრის“ შემადგენლობაში შეცვლაზე შემოდის ახალი ფეხბურთელი. მე ვხედავ, რომ ეს არის **ევტუშენკო.** სარქისიანცი გვამცნობს, რომ „მოედანზე შემოვიდა...“ და რატომღაც შეჩერდა დიქტორი-კომენტატორი. მე

ვფიქრობ ჩემთვის, რომ ეხლა იტყვის **ევგენი ევტუშენკო** (ცნობილი რუსი პოეტი) და მართლაც გააგრძელა სარქისიანცმა შეწყვეტილი წინადადება და გამოაცხადა... შემოვიდა **ევგენი ევტუშენკო.** დაახლოებით 2-3 წამიანი პაუზის შემდეგ კი სარქისინცმა ჩაიცინა და დაამატა – ევგენი კი არა, ვადიმ ევტუშენკო. შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელი კი მართლაც **ვადიმი** იყო და არა **ევგენი.**

დღესაც ვერ გავრკვეულვარ, როგორ ან რა გზით ვიმოქმედეთ ერთმანეთზე მე და სარქისიანცმა.

1988 წ. 7 სექტემბერი

24 საათის ფარგლებში

გვიან ღამით ტელევიზიით გადმოსცემენ საფეხბურთო მატჩს მოსკოვის „სპარტაკის" მონაწილეობით. ერთ-ერთ ეპიზოდში დამცველებმა ბურთი უკან მიუგორეს მეკარე დასაევს. ეკრანზე, ფართო პლანით ჩანს, თუ ბურთი როგორ მიგორავს დასაევისკენ.

კომენტატორი **მასლაჩენკო** კი აგრძელებს თხრობას: ... «защитники «Спартака» откидывают мяч назад и он... მე ვხედავ, რომ დასაევი ბურთის მიღებას აპირებს ფეხით, გულში კი ვფიქრობ, რომ მასლაჩენკო ახლა იტყვის სტანდარტულ ფრაზას – ... «мяч в руках у вратаря»... და შეცდება-მეთქი, იმიტომ, რომ აშკარად ვხედავდი, როგორ აპირებდა ბურთის მიღებას დასაევი. ოი, საოცრებავ! **მასლაჩენკომ** მართლაც ასე თქვა: «и мяч в руках у вратаря»-ო, მერე კი გაიღიმა და დააზუსტა – «в прочем, не в руках, а в ногах»-ო და ასეც იყო.

არ გიკვირთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?

1988 წ. 22 სექტემბერი

21 30 საათი, ქ.ვორი

სეულის ოლიმპიადიდან გადმოსცემდნენ ქალთა კალათბურთის მატჩს. ამერიკელმა გოგონებმა ძალიან ლამაზად ჩააგდეს ბურთი კალათში, ასეთ ლამაზ და ეფექტურ ხერხს არც თუ იშვიათად იყენებენ ხოლმე მამაკაცი კალათბურთელები. გავიფიქრე (ისევ გავიფიქრე, მაშ რა ვქნა, ზუსტად ასეა ხოლმე და ჯერჯერობით სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ), ახლა **ერიომინა** (კომენტატორი) იტყვის, რომ გოგონებმა ბურთი ისე ჩააგდეს – მამაკაცებს, რომ სჩვევიათო. ეს გავიფიქრე და იმ წამსვე **ერიომინამ** გვაუწყა: «американки забросили мяч по мужски»-ო.

1988 წ. 23 სექტემბერი

20 05 საათი, ქ.ვორი. ქარიანი ამინდი

ტელევიზიის მე-2 არხით ოლიმპიური თამაშებიდან გადმოსცემენ კრივს. ვუყურებ ეკრანს, მაგრამ ფიქრით სხვაგან ვარ: ჩემი უფროსი ბიჭი შვებულებით იყო ჩამოსული ცოლ-შვილით.

ამ წელს შესრულდა ათი წელი, რაც მან საშუალო სკოლა დაამთავრა. თანაკლასელებმა აღნიშნეს ეს თარიღი და თითქმის ერთი კვირა გააგრძელეს „გრიალი". ჩვენ სახლშიც სამი თუ ოთხი დღე შემოსასვლელი კარები არ გაჩერებულა, იყო ერთი მისვლა-მოსვლა, გვიან ღამემდე მუსიკა და გაუთავებელი ჟივილ-ხივილი.

რატომღაც ახლა, ტელევიზიით ახალგაზრდათა ფორუმის გადმოცემის მომენტში, გამახსენდნენ ჩემი შვილის თანაკლასელები, რომელთა შორის განსაკუთრებული სი-

ცოცხლისუნარიანობით (სიმღერით, ცეკვით და მხიარული ანეკდოტების მოყოლით) გამოირჩეოდა **მარიკა უბირია,** ლილი უბირიას ქალიშვილი. დიახ, სწორედ ახლა გამახსენდა მარიკა, მხოლოდ ის კი ვერ ამიხსნია, რატომ.

რეკავს ტელეფონის ზარი, ყურმილს იღებს ჩემი მეუღლე: „ოო... გამარჯობა ლილი, როგორა ხარ გოგო, სად დაიკარგე, მარიკა როგორ არის?..“ (რეკავდა **ლილი უბირია, მარიკას** დედა.

1988 წ. 12 დეკემბერი

13 50 საათი, ქ.გორი

ცივი, ქარიანი ამინდია. ვზივარ მანქანაში და ნელნელა მივგორავ წინ ბენზინის მსურველთა გრძელ რიგში. შესვენება მთავრდება და აშკარად ვაგვიანებ სამსახურში. ვნერვიულობ, მაგრამ რას ვიზამ. იმ დროს საშინელი დეფიციტი იყო საწვავის. ბედნიერად ვთვლიდით თავს, თუ მოვახერხებდით და ბენზინის ავზს შევავსებდით. მე კი სულ ახლოს ვიყავი მიზანთან. დრო გადიოდა, დიდი ხანია ამოიწურა შესვენების დრო; რიგი კი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვენი მოქალაქეები „კანისტრებით“ მიდიოდნენ ჩასასხმელად, რაც აფერხებდა რიგს.

ბენზინგასამართი სადგურების ოპერატორები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულები, რომ კანისტრებით არ გაეცათ ბენზინი, მაგრამ ვინ დაგიდევდა ამ გაფრთხილებას.

გუნებაში ვფიქრობ, ჩასასხმელად, რომ მივალ, ერთი მაგრად გამოვლანძღავ-მეთქი ოპერატორ გოგოს, რომელიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ატარებდა კანისტრიანებს. სახელად ერქვა **ლუბა.** შორიდან ვიცნობდი. რიგი კი კვლავ იწელება, აღარ დამადგა საშველი — წინ კიდევ თხუთმეტიოდე მანქანა მიდგას. ჩამოსასხმელ პულტთან ისეთი ზედახორაა, რომ, როგორც იტყვიან „ძაღლი პატრონს ვერ იცნობს“-ო. არი კანისტრების ჯახა-ჯუხი, გაწევ-გამოწევა და ხმამაღალი გინებაც კი.

ოჰ, ლუბა, ლუბა! ერთი მოვიდე შენამდე და გული მოვიფხანო. ოთხი მეტრით წავიწიე წინ და ძრავა ჩავაქრე. ჩავიხედე უკანახედვის სარკეში და დავინახე გასამართი სადგურისკენ მომავალი, დასასვენებელი (გამოსასვლელი) დღისთვის შესაბამის ტანისამოსში გამოწყობილი **ლუბა.** დავუქნიე ხელი, მოვიდა და მანქანაში ჩამიჯდა — ცოტას გავთბებიო.

როგორც აღმოჩნდა დღეს ის არ მუშაობდა და დროის მოსაკლავად მოდიოდა თავის კოლეგებთან.

1988 წ. 17 დეკემბერი

15 საათი, ქ.გორი

ბაზრიდან მოვდივარ მანქანით სახლში. მზიანი, მშრალი ამინდია. ქრის მცირე სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. შემოვუარე გორის ციხეს და ჩავუარე ე.წ. ცხინვალის ხიდს და უმოქმედო შადრევნებს რუსთაველის მემორიალთან. გზაზე გადადიოდა ორი ახალგაზრდა, ერთ-ერთი მათგანი იყო ჩვენი ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი მევლუდ შატაკიშვილი. მე მანქანის სვლა შევანელე და მივეცი მათ საშუალება უსაფრთხოდ გადასულიყვნენ გზაზე.

გამახსენდა ეკონომისტი **ომარ შატაკიშვილი,** რომელიც ერთ-ერთ წარმოებაში ჩემთან მუშაობდა ეკონომისტად. **ომარ შატაკიშვილი** კარგი სპეციალისტია და ერ-

თობლივი მუშაობა კარგად გამოგვდიოდა.

ამ ფიქრში გართულმა გადავუხვიე გარსევანიშვილის ქუჩით და ის იყო უნდა გავსულიყავი სტალინის ქუჩაზე, რომ აჩქარებული ნაბიჯით წინ გადამიჭრა გზა ჩემმა ყოფილმა ეკონომისტმა **ომარ შატაკიშვილმა.**

1989 წ. 26 თებერვალი

19 საათი, ქ.გორი

სახლში ვარ. დრო მაქვს, საქმე კი თითქმის არაფერი. წყნარი საღამოა. იგრძნობა გაზაფხულის მოახლოება. ვფიქრობ, რა გავაკეთო, უსაქმოდ ყოფნა ძნელია. მოდი დავურეკავ **შოთა ჯაფარიძეს** და შევეკითხები რატომ მიგვიანებს ჩემს ვიდეოკასეტებს და იქნებ რაიმე ახალიც ჰქონდეს, რომ მათხოვოს.

დაახლოებით 20-30 წამის შემდეგ მირეკავს **შოთა ჯაფარიძე:** „მადლობა ღმერთს, სახლში ხარ. ორი დღეა გირეკავ და ძლივს დაგიჭირე. ეხლა ჩემ ძმაკაცს გამოვატან კასეტებს და ერთ ახალსაც მოვაყოლებ, ცოტა გაერთეო.“

შოთა ცხოვრობს ჩემგან ჩრდილოეთით, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით.

1989 წ. 5 იანვარი

12 35 საათი, ქ.გორი

დიდთოვლობისა და ძლიერი ქარის გამო ქალაქში შეწყვეტილია ელექტროენერგიის მოწოდება (ამბობენ მაღალი ძაბვის ხაზები დაიზანდაო), გამორთულია საქვაბეები, კიდევ კარგი, რომ არ არის ყინვები, თუმცა ქალაქი მაინც პარალიზებულია — არსად გათბობა, საზოგადოებ-

რივი ტრანსპორტი არ მუშაობს, საბავშვო ბაგა-ბაღების მუშაობა შეჩერებულია, სკოლებიდან ბავშვები დაითხოვეს. მოკლედ, მძიმე მდგომარეობაა.

ვფიქრობ: „მრავალი საზრუნავი გაუჩნდა ქალაქის საბჭოს **აღმასკომის თავმჯდომარეს**. ახალი კაცია და უკვე ლაპარაკობენ ენერგიული და მონდომებულიაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, ალბათ მალე გამოასწორებს მდგომარეობას. იმასაც ამბობენ ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში თავისი ფეხით მიდის, სწავლობს ვითარებას და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებებსო.“

ასე ვფიქრობდი **აღმასკომის ახალ თავმჯდომარეზე** და ზუსტად ამ დროს ჩაიარა სამსახურებრივი „ვოლგით“ ჩემი ფანჯრების წინ.

1989 წ. 8 მარტი

9 20 საათი, ქ.გორი

მინდა, რომ ბაღში წავიდე და ცოტა წავიმუშაო. ვფიქრობ: „ნარგავები მაქვს შესაძენი. ნეტავ თუ აქვთ ბაზარში გამოტანილი გასაყიდად, ან რა ღირს? იქნებ ჯობია **პაპუნა ლაფაჩს** დავურეკო და ვთხოვო, რომ სოფ. სკრაში მაშოვნინოს იაფად, ან შეიძლება თვითონაც აქვს ბაღში.“

ამ დროს რეკავს ტელეფონი: „ბიჭო, სადა ხარ, ასე უნდა დავიწყება? რაო, ბაღიო?! რა დროს ბაღია, ვერა ხედავ როგორი ქარია. დღეს ძმაო ქალთა დღეა და ერთად მივულოცოთ მეუღლეებსო.“ რეკავდა **პაპუნა ლაფაჩი.** იმ მომენტში ჩვენს შორის მანძილი იყო დაახლოებით 800 მეტრი. უბერავდა აღმოსავლეთის ქარი. პაპუნა ცხოვრობს ჩემგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

1989 წ. 9 თებერვალი

8 50 საათი, ქ.გორი

მანქანით შევედი ინსტიტუტის ტერიტორიაზე. იქვე, ჩემ გვერდით მანქანა გააჩერა სულიკო ივანიაძემ. „მოდი ერთი ნახე, ხმოვან სიგნალს აღარ იძლევა“ მივმართე სულიკოს. მან დაუყოვნებლივ მოჰკიდა ხელი საქმეს.

მე-2 სართულიდან გადმოგვძახა ზაურ კიკნაძემ: „თუ იცით, **ა.მებადური** დღეს სამსახურში იქნება, თუ მივლინებაშია“-ო. სულიკო ივანიაძე მუშაობდა ა.მებადურთან განყოფილებაში და იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

„მივლინებაში არ წასულა, დღეს სამახურში იქნებაო“ უპასუხა სულიკომ.

ამ დროს ჩვენს გვერდით გაჩერდა თეთრი „05“ და იქიდან გადმოვიდა **ა.მებადური.**

1989 წ. 13 თებერვალი

9 40 საათი, ქ.გორი

ვზივარ ჩემს სამუშაო ოთახში. გამახსენდა, რომ **ვახტანგ აკოფაშვილმა,** რამდენიმე დღის წინ მთხოვა ერთ-ერთი ოქმიდან ამონაწერი.

„კარგი ბიჭია **ვახტანგ აკოფაშვილი** – ვფიქრობ ჩემთვის, ზრდილობიანი და განათლებული, შრომის მოყვარე და პრინციპული. ნეტავ ბევრი გვყავდეს ასეთი თანამშრომელი.“ ვიპოვე ოქმი და ... ამ დროს შემოდის ჩემთან **ვახტანგ აკოფაშვილი.**

1989 წ. 13 თებერვალი

12 10 საათი, ქ.გორი

დირექტორი დაბრუნდა მოსკოვიდან. შევედი მასთან

სანახავადაც და ერთი საკითხის გასარკვევადაც. ეს საკითხი ეხებოდა მოსკოვიდან პედაგოგების ჩამოსვლას და ჩვენს ინსტიტუტში ლექციების კურსის წაკითხვას. საქმე იმაშია, რომ მათ დააგვიანეს და მე დირექტორს ვთხოვე მოსკოვში ყოფნისას დაკავშირებოდა მათ.

როგორც გაირკვა – დირექტორმა ეს ვერ მოახერხა. საქმე გვიანდებოდა.

მე, როგორც ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ვხელმძღვანელობდი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს და შესაბამისი ურთიერთობებიც მქონდა მოსკოვის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან. ამ უკანასკნელთან კი დამაკავშირა და ხელშეკრულება გამაფორმებინა მათმა თბილისელმა წარმომადგენელმა, ვინმე **მაგდამ** (მეთოდისტი).

დირექტორმა მითხრა დაუკავშირდი **მაგდას** და გაარკვიე რაშია საქმეო. გამოვედი დირექტორის ოთახიდან და წავედი ჩემი კაბინეტისკენ, რათა სასწრაფო შეკვეთა მიმეცა თბილისში სალაპარაკოდ.

მოვიხედე მარცხნივ და... ოი, საოცრებავ!!? კიბეებზე ამოდიოდა **მაგდა!!!**



1989 წ. 15 მარტი

17 15 საათი, ქ.გორი

მე და **ირაკლი კიკაძე,** შეთანხმებული ვართ, რომ ბაღში ხეხილის გასასხლავად წავიყვანოთ მისი თანამშრომელი, ლევან ჩიხლაძე. ირაკლის უნდა დაერეკა ჩემთვის, მაგრამ, აი უკვე თითქმის მთავრდება სამუშაო დრო და ზარი კი არ რეკავს.

ვფიქრობ: „ან ლევანს არ სცალია, ან თავი შეიკავეს,

რადგან ცივი და ქარიანი ამინდია და ალბათ საქმის გაკეთება სხვა დროისთვის გადადეს-მეთქი.“ ვფიქრობ და ამ დროს რეკავს **ირაკლი კიკაძე:** „ვახო, ცივა და ქარია, სხვა დროისთვის გადავდოთ ჩვენი საქმეო.“

(ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს ერთი სართული და დაახლოებით 80-90 მეტრი პირდაპირი ხაზით).

1989 წ. 24 მარტი

12 35 საათი, ქ.გორი

შემოდის კაბინეტში ნოდარ ოქრუაშვილი და მეუბნება: „ნახე, რა კარგი ამინდია, წამოდი ბაღში წავიდეთ და სუფთა ჰაერზე ცოტა წავიმუშაოთო.“ მე წინააღმდეგი ვარ: „არა ნოდარ, არა მცალია. თანაც **დირექტორი** არ არის, რომ დავეთხოვო.“ უფრო კარგი, თუ არ არისო. არა-მეთქი. ვიცი ჩემი იღბალი, აუცილებლად გზაში შემხვდება, არაერთხელ მომსვლია ასე. „კარგი, თუ ძმა ხარ, როდის აქეთ გახდი ცრუმორწმუნეო.“

მაინც დამიყოლია. ჩავიცვი ლაბადა და ჩავუყევით კიბეებს, თან თავში შემაწუხებელი შეკითხვა მაწუხებს — ახლა, რომ დირექტორმა შემამჩნიოს ინსტიტუტიდან გასული, რა პასუხი გავცე-მეთქი.

ჩავედით პირველ სართულზე და წავედით ქუჩაში გასასვლელისკენ. შემოიღო კარები და ლამის შევეჯახეთ მოადგილესთან ერთად შემოსულ **დირექტორს.** „არ დამეკარგო, შენთან საქმე მაქვსო“ მითხრა დირექტორმა.

1989 წ. 4 აპრილი

15 საათი, ქ.გორი

ჩემს სამუშაო კაბინეტში ვარ და ვათვალიერებ ახ-

ლადშეძენილ წიგნებს.

დღეს მოსალოდნელია, რომ **დირექტორთან** შედგეს უკვე ორჯერ გადადებული თათბირი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. დილის 11 საათი იყო, როცა დამირეკა და მითხრა, საკითხი კარგად უნდა გქონდეს მომზადებული, დაგიძახებთო.

დავცქერი საათს და ვფიქრობ: „ნეტავ დღის ბოლოსთვის არ გადაიტანოს თათბირი, დღეს ხომ თბილისის „დინამო“ ხარკოვის „მეტალისტს“ ხვდება და იქნებ, ზედიზედ ოთხი ფრეს შემდეგ, დღეს მაინც მოიგოს-მეთქი. ახალი კაცია ჩვენი **დირექტორი,** ჯერ კარგად არ ვიცნობ, ისიც არ ვიცი ფეხბურთი უყვარს თუ არა. თუ აინტერესებს, მაშინ თათბირს ისეთ დროს დანიშნავს, რომ ფეხბურთზე არ დაგვაგვიანდეს.

რეკავს ტელეფონი: „ვახტანგ, შემოდი, დროზე დავიწყოთ, ხომ იცი — დღეს ფეხბურთია“ მითხრა **დირექტორმა.** საათზე დავიხედე, 15 საათი და 1 წუთია.

1989 წ. 6 აპრილი

11 საათი, ქ.გორი

მშვენიერი, მზიანი დღეა.

ჩემს სამუშაო კაბინეტში ვამზადებ წერილს მინისტრის სახელზე თხოვნით, რომ დაგვეხმაროს და დააბრუნოს ჩვენს ინსტიტუტში გამოგზავნილი მოსკოველი პედაგოგები გორში, რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ვწერ წერილს და ვფიქრობ მეთოდისტ **მაგდაზე,** რომელიც არის მოსკოვის ინსტიტუტის წარმომადგენელი თბილისში და რომელიც გვეხმარებოდა შესაბამისი ხელ-

შეკრულების დადებაში, რათა ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებულიყო ლექციათა კურსი მოსკოველი სპეციალისტების მიერ.

ვწერ წერილს და თავში მიტრიალებს აზრი, თუ შეკითხვა — ხომ არ ეწყინება **მაგდას,** რომ მინისტრთან ვაპირებ ე.წ. ჩივილს მის უფროსებზე. ახლოს მაინც იყოს, გავუზიარებდი აზრს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ახლა თბილისში არ იმყოფება. ნეტავ სად არის მაგდა — გრძელდება ფიქრი.

შემოდის დირექტორის მდივანი — ჩქარა, თბილისიდან გირეკავენო. წავედი მისაღებში და ავიღე ყურმილი. გამარჯობა ვახტანგ, როგორა ხარ?.. მესაუბრებოდა **მაგდა,** თბილისელი მეთოდისტი.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

1989 წ. 7 აპრილი

11 40 საათი, ქ.გორი

გაზაფხულის მზიანი დღე. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მე-3 სართული. მე და ზაურ კიკნაძე ვდგავართ დირექტორის კაბინეტის წინ ე.წ. „პლაშჩადკაზე“ და მოაჯირზე დაყრდნობილები ვსაუბრობთ.

ერთი საერთო საქმე გვაქვს და ქალაქში გვინდა გასვლა. ზაური მეუბნება წავიდეთო. მე უარზე ვარ, **დირექტორის** დაუკითხავად ვერ გავალ-მეთქი. ზაური არ მეშვება. ზაურ, ხომ იცი ჩემი იღბალი, რომ წავიდე, **დირექტორი** გზაში შემხვდება და უხერხულია, არ გამოვა ლამაზი, თან ახალი კაცია და რას იფიქრებს. კარგიო, მითხრა ზაურმა და შემეშვა. კიბეებზე მოისმა ფეხის ხმა.

გადავიხედე და დავინახე ზემოთ ამომავალი **დირექ-**

ტორი. ამჯერადაც გადავრჩი შერცხვენას.

1989 წ. 15 აპრილი

19 15 საათი, ქ.გორი

ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ავტოსადგომზე გავაჩერე მანქანა და ფეხით გამოვუყევი სახლისკენ გზას.

გადმოვიარე ლიახვის ხიდი, ჩავუარე სტადიონს, გავედი ჭავჭავაძის ქუჩაზე. მივუახლოვდი ბარათაშვილის ძეგლს. იქვე ტროტუარზე ვიღაცას ერთი ყუთი ლიმონათი დაედგა და ყიდდა.

გამახსენდა 1977-78 წლები, როდესაც ვმუშაობდი ლუდ-ლიმონათის ქარხანაში და ის, თუ როგორ ვებრძოდით ქურდებს და განსაკუთრებით ე.წ. წვრილმან ქურდობას. ძალიან დაძაბული დამოკიდებულება მქონდა ერთ-ერთ მუშასთან **რ.მ.**-სთან, რომელიც სისტემატურად იპარავდა ლიმონათს. ხშირად გვქონდა არასასიამოვნო საუბარი.

გამახსენდა ახლა მაშინდელი ამბები და ფიქრში გართული მივუახლოვდი თეატრის შენობას. წინ შემომხვდა **რ.მ.,** რომელსაც შავები ეცვა და მძიმე ჩანთას ძლივს მიათრევდა.

1989 წ. 23 აპრილი

საღამოა, სახლში ვარ და გაზეთებს ვათვალიერებ, თან ცალი თვალი ტელევიზორისკენ მიჭირავს.

9 აპრილის შემდეგ, ტელევიზიიდან ხშირად გადმოსცემდნენ ხოლმე ტრაურის შესაბამის მუსიკას. რამდენჯერმე აჟღერდა რევაზ ლაღიძის ცნობილი მელოდია, ასევე ყველასთვის კარგად ცნობილი ტექსტით — „...ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“

ათ დღეზე მეტია, რაც გაზეთებში არ ქვეყნდება საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა პროგრამები. ახლა კი აღნიშნული მელოდიის მოსმენის შემდეგ, ვინატრე (გუნებაში), რომ კარგი იქნებოდა ეჩვენებინათ ფილმი **„ბლახის ნაამბობი“**, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს სწორედ ეს მელოდია და რომელშიც მთავარ როლს (დათიკოს) ასრულებს ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ოთარ ხატიაშვილი.

ვფიქრობ და ვფურცლავ გაზეთ „კომუნისტს“. აჰა, გამოჩნდა ტელეგადაცემათა პროგრამაც. ეს უკვე კარგია, მაგრამ საოცრება ჯერ კიდევ წინ მელოდა — 24 აპრილის კინოსეანსში გათვალისწინებული იყო **„ბლახის ნაამბობის“** ჩვენება.

მოდით და ნუ გაოცდებით!

1989 წ. 24 აპრილი

22 $\frac{10}{}$ საათი, ქ.გორი

ტელევიზიით გადმოსცემენ ინფორმაციას მოსკოვში ფართო მოხმარების საგნების გამოფენის ჩატარების შესახებ. გამახსენდა, რომ ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებიც ვართ მიწვეულები ამ გამოფენაზე. ვფიქრობ, ალბათ **Валери Павлович** Слугини-ც წამოვა გამოფენაზე, ის ხომ ჩვენ საწარმოო გაერთიანებაში სწორედ ფართო მოხმარების საგნების წარმოების კურატორია. კარგი კაცია **Валери Павлович**-ი, ენერგიული და განათლებული.

გამიტაცა ფიქრმა. ამასობაში ტელეგადაცემა გადავიდა სხვა სიუჟეტებზე, რაღაცამ გამომაფხიზლა; სიუჟეტში კორესპონდენტი ესაუბრება (ინტერვიუს იღებს) თურქმენეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსს

..... და როგორ გგონიათ ვის? — ვის და ვინმე **Валери Павлович**-ს.

!!!

დიდება შენდა, ღმერთო!

1989 წ. 25 აპრილი

16 $\frac{50}{}$ საათი, ქ.გორი

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ვზივარ მომარაგების განყოფილებაში ზაურ კიკნაძესთან, რომელიც მესაუბრება ამ ბოლოდროინდელ სიძნელეებზე კომპლექტაციის საკითხებში. ძალიან გაჭირდაო მომარაგება — შეფიქრიანებული ამბობს ზაური. მე ვეუბნები: „ჩემ ძმაკაც **გივი მაისურაძეს** მიხედე, ნუ ანერვიულებ კაცს, რა გახდა, ერთი ცალი „ვენტილი“ ვერ უნდა უშოვნო-მეთქი?!“

რეკავს ტელეფონი, პარალელურ აპარატზე ყურმილს იღებს ქეთინო: „ო, გამარჯობა გივი, ზაური გინდა, ეხლავე“... რეკავდა **გივი მაისურაძე.**

1989 წ. 6 ივნისი

21 საათი, ქ.გორი

ვარ პაპუნა ლაფაჩთან სახლში. ნერვიულობს: **„კოტე** გავუშვი ჩემი მანქანით სკრაში დედაჩემის ჩამოსაყვანად, ხომ არაფერი დაემართა გზაში. გავაფრთხილე, რომ მანქანა ვერ არის ფორმაში და ფრთხილად იარე-მეთქი.“

ნუ დარდობ, კოტე ფრთხილი ბიჭია და არაფერს დაამავებს, დაწყნარდი ალბათ ნელა დადის და იმიტომაც იგვიანებს.

ამის თქმა იყო და კარებში ზარმა დაიწკრიალა. „სადა ხარ შე ბემურაზოო“ მიახალა პაპუნამ მე-4 სართულ-

ზე ქლოშინით ამოსულ **კოტეს**.

ტელევიზორში კი გადმოსცემდნენ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რომელიღაც სპექტაკლის, რომელიღაც ნაწილს.

1989 წ. 5 აგვისტო.

20 საათი, ქ.გორი

მე, ირა და ჩემი უფროსი ვაჟი დევი ვარჩევთ 2 დღის წინ ჩემ ნაკვეთში აღებულ ლობიოს. ირა (მეუღლე) ამბობს: „ორი დღეა **რეზოს** (ჩემი უმცროსი ვაჟი) ვეხვეწები, მოდი შვილო ლობიო გავარჩიოთ, კაცს მოუყვანია და აუღია მოსავალი, ხომ არ გავაფუჭებთ, მაგრამ ყოველთვის თავი დაიძვრინა. აი, ახლაც, რაღაცნაირად მიხვდა, რომ ლობიოს გარჩევას ვაპირებდით და სადღაც გაქრაო."

ჩვენ ლობიოს გარჩევა ორი-სამი საათით გადავდეთ. როცა საქმეს შევუდექით მე ვთქვი: „ნეტა რეზოც მოვიდეს, საქმეს მალე მოვრჩებით." ამ დროს კარებში ზარმა დარეკა. რეკვის მანერაზე მივხვდით, რომ ეს **რეზო** იყო. დევიმ თქვა: „ვერ გამოთვალა, დროზე ადრე მოვიდა სახლშიო." მართლაც კარები შემოაღო **რეზომ** და ბურტყუნით შემოუერთდა ჩვენ საქმიანობას.

1989 წ. 7 აგვისტო

10 20 საათი, ქ.გორი

ვარ ჩემ სამუშაო კაბინეტში და ვათვალიერებ მაგიდაზე დაწყობილ მრავალნაირ დაწერილ თუ დაბეჭდილ ქაღალდებს (მას შემდეგ რაც ინსტიტუტის სწავლულ მდივნად დამნიშნეს, საქმეები საგრძნობლად მომემატა). განაწილებით მოსული სამი ახალგაზრდა სპეციალისტიდან,

ორი უკვე „მივამაგრე" ლაბორატორიებში. დამრჩა „საპატრონო" კიდევ ერთი — **თამრიკო გუსოშვილი.** მის საკითხს ვერ ვწყვეტავ დირექტორის გარეშე, რომელიც მივლინებაშია და იქნება 2-3 დღის შემდეგ.

მე თამრიკოს მივეცი ჩემი ტელეფონი და ვუთხარი რომ დაერეკა ჩემთვის, დავპირდი, რომ დირექტორი ჩამოვა თუ არა, მაშინვე გადავწყვეტთ-მეთქი შენ საკითხს.

დირექტორი ჩამოვიდა, საკითხიც გადაწყდა, მაგრამ თამრიკო არც რეკავს და არც მოდის. გავიდა ათი დღე. ვფიქრობ, ნეტავ რაშია საქმე, ავად ხომ არ გახდა, ან იქნებ რექტორატს სხვაგან გადაანაწილებინა თავი, ან ხომ არ გათხოვდა და წავიდა სხვა რაიონში... მოკლედ ვფიქრობ და არ ვიცი რა გავაკეთო. ამ დროს შემოიღო კარები და მოწიწებით შემოვიდა **თამრიკო გუსოშვილი.**

1989 წ. 25 სექტემბერი

12 საათი, ქ.გორი

ვარ შვებულებაში. უმეტეს დროს ვატარებ სახლში. მაქვს შესაძლებლობა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფერისა თუ ზომის ქაღალდის ნაგლეჯებზე დაწერილი ე.წ. ტელეპათიური მომენტები გადავათვალიერო, სუფთად გადავწერო და წესრიგში მოვიყვანო.

დავიწყე გადაწერ-გადმოწერა, თან ტელევიზორი მაქვს ჩართული და ვუყურებ საინტერესო მუსიკალურ გადაცემას. რა აღარ მომხვდა ხელში, თურმე სად აღარ მიწერია: კალენდრის ფურცელზე, სიგარეტის კოლოფზე, ხელსახოცზე, წიგნის ყდაზე და ა.შ. სამწუხაროდ ბევრი მომენტი ისე მოკლედ და ისე გაურკვევლად იყო დაწერილ-დაბღაჯნილი, რომ შეუძლებელი გახდა მათი აღდგე-

ნა (გადავწყვიტე ბლოკნოტი ან რვეული ვატარო ჯიბით).

რამდენიმე ქაღალდის ნაგლეჯი, ასე ვთქვათ, დავამუშავე, აღვადგინე და გადავიტანე სპეციალურ რვეულში. ტელევიზორიდან კი მესმის საესტრადო მელოდიები.

ხელი წავიღე მომდევნო ქაღალდისაკენ და გამიკვირდა – დაწერილი იყო რუსულად. ეს როგორ, მე ხომ ე.წ. ტელეპათიური მოვლენები რუსულად არასდროს არ დამიწერია, როგორ მოხვდა ეს ფურცელი აქ? უცბად ვერ მივხვდი რა იყო. ამ დროს კი, უფრო ზუსტად 12 საათსა და 27 წუთზე, საკავშირო ტელეპროგრამის არხზე ჩართული ტელევიზორიდან მომესმა პოპულარული სიმღერა **„მადონა“**..... ხოლო ქაღალდი, ეს რუსულად დაწერილი ტექსტი, რომელიც გაოცებისაგან ხელში გამიშეშდა (თავს გაუფრთხილდით, არაფერი დაგემართოთ) იყო სწორედ სიმღერა **„მადონას“** რუსული ტექსტი, რომელიც (ახლა გამახსენდა) ჩემმა უფროსმა ვაჟმა, ჩემი თხოვნით, ამოწერა კასეტიდან და ფოსტით გამომიგზავნა.

მართლაც, რომ საოცარი დამთხვევაა!

1989 წ. 1 დეკემბერი

დაახლოებით 16 საათი

სამსახურში თავი ცოტა შეუძლოდ ვიგრძენი და სამუშაო დროის დამთავრებას აღარ დაველოდე. თბილად ჩაცმული ჩავჯექი რბილ სავარძელში, ტელევიზორის წინ.

დიდი ხანია მინდა შევისწავლო ოთარ რამიშვილის სიმღერა **„ფუტკარ-აფთიაქარი“**, რომელიც ერთ-ერთი ტელეგადაცემის დროს ჩავიწერე ვიდეო კასეტაზე. ჩავრთე ტელევიზორი, პირველ პროგრამაზე, მოვამზადე ვიდეომაგნიტოფონი, ჩავდე კასეტა, მოვიმარჯვე სამართი პულტი

და დავიწყე საჭირო სიმღერის მოძებნა. გადავახვიე და გადმოვახვიე, ვიპოვე და ჩავრთე. ადვილად ამოვიწერე პირველი სტროფის ტექსტი. მეორე სტროფის ტექსტის ამოწერაზე ბევრი ვიწვალე, ამიტომ ხშირად მიწევდა კასეტის წინ და უკან გადახვევა. ამ გადახვევა-გადმოხვევის დროს შიგადაშიგ ვრთავდი პირველ პროგრამას და შეძლებისდაგვარად თვალს ვადევნებდი გადაცემას.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ოთარ რამიშვილის სიმღერა **„ფუტკარი-აფთიაქარი“** მართლაც ბრწყინვალე რამ არის – ჩინებულია, როგორც ტექსტი ისე მუსიკა.

ფირის ერთ-ერთი გადახვევის დროს ტელეეკრანზე გამოჩნდა პროგრამით გათვალისწინებული გადაცემის კადრები..... ივანე ჯავახიშვილი, ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე გამოდის სიტყვით და ხაზს უსვამს **ფუტკრის** ენერგიულ და დაუზარელ შრომას!!?

მაშ არ არის გასაკვირი!?? რანაირად შეიძლება, რომ მოხდეს ასეთი დამთხვევა.

იდგა 1989 წლის 1 დეკემბრის საღამო.

დიდება შენდა, ღმერთო!

1990 წ. 23 მაისი

16 30 საათი, ქ.გორი

ჩემმა უფროსმა ვაჟმა დევიმ, სამსახურში მიმიყვანა და თავის საქმეზე წავიდა მანქანით. დამავიწყდა შევთანხმებულიყავით, თუ როდის გამომივლიდა.

სამსახურიდან, დირექტორის დავალებით, ცოტა ადრე გამოვედი, რაღაც საქმეზე ერთ დაწესებულებაში უნდა მივსულიყავი, რომელიც ტერიტორიულად საკმაოდ შორს იყო, თითქმის ქალაქის მეორე ბოლოში. გავიფიქრე

— ნეტავი დევი მაინც გამოჩნდეს და წამიყვანოს-მეთქი.

უცბად, ტროტუარის სიახლოვეს გაჩერდა მანქანა და გაიღო კარი. საჭესთან იჯდა დევი.

1990 წ. 29 მაისი

13 20 საათი, ქ.გორი

რკინიგზის სადგურის მხრიდან მანქანით მივდივარ სახლისკენ (სტალინის ქუჩისკენ). მივუახლოვდი რკინიგზაზე გადასასვლელ ხიდს.

რატომღაც გავიფიქრე (ეს „რატომღაც" გავიფიქრე არის სწორედ გაუგებარი. რატომ გავიფიქრე მაინცდამაინც იმ მომენტში, ამის ამოხსნას ვერ ვპოულობ, რაზედაც შესავალში მაქვს საუბარი) **ტრისტან ლოცულაშვილის** შესახებ, ყოფილ ჩემს თანამშრომელზე. „კარგი ბიჭია ტრისტანი, მხიარული დ პურმარილის მოყვარული, ნეტავ სად მუშაობს ახლა?" გავიფიქრე (ისევ „გავიფიქრე") და გამახსენდა გუშინდელი, 28 მაისის სატელეფონო საუბარი ჩემი ძველი სამსახურის თანამშრომელთან, ილოსთან: „რევაზიჩ, გინდა **ტრისტანს** დაგალაპარაკოო". მე გამიკვირდა, **ტრისტანს** მანდ რა უნდა, აკი რუსეთში წავიდაო სამუშაოდ... და ამ დროს ტელეფონი გაითიშა.

ეს იყო გუშინ. დღეს კი რკინიგზაზე გადასასვლელ ხიდზე გამახსენდა (კიდევ ერთხელ ვამბობ, არ ვიცი რად ან რამ გამახსენა) **ტრისტან ლოცულაშვილიც** და ილოსთან სატელეფონო საუბარიც.

უკვე შუახიდზე ვიყავი მისული, როდესაც შემხვედრმა „გაზ-24" ჩამიქროლა ხმოვანი სიგნალით. კარების ჩამოწეული მინიდან ხელის ქნევით მომესალმა **ტრისტან ლოცულაშვილი.**

1992 წ. 14 აპრილი

10 45 საათი

ვარ დირექტორის კაბინეტში. ჩემს გარდა აქ არიან: **ლიანა მაღრაძე,** ზაურ კიკნაძე და კიდევ ერთი, ჩემთვის უცნობი მამაკაცი. მათ დაამთავრეს დირექტორთან საუბარი და სამივენი გავიდნენ. მე მოვემზადე დირექტორთან სასაუბროდ და მასთან ახლოს მდებარე სკამზე გადავჯექი. იმ წამში გავიფიქრე, რომ **ლიანა მაღრაძე** უკან შემობრუნდებოდა.

მართლაც, ჯერ ერთი სიტყვაც კი არ მქონდა ნათქვამი დირექტორისთვის, რომ კაბინეტში შემოვიდა **ლიანა მაღრაძე** და მე მომმართა: „ვახტანგ, კაბინეტთან ვიღაც კაცი გელოდებაო".

1992 წ. 14 აპრილი

ზუსტად 18 05 საათი

ერთი კვირის წინ ლექსი დავწერე სათაურით **„გადასახედი".** ზეპირად ვერ გავიხსენე და გადავწყვიტე გადამეკითხა. გამოვიღე რვეული, გადავშალე საჭირო ადგილზე და ის იყო სათაური წავიკითხე, რომ ტელევიზორიდან მომესმა სიტყვები: ... „მაშინდელი **გადასახედიდან** ეს კარგად ჩანდაო, თუ ახლა კარგად ჩანსო — რაღაც ამის მსგავსი. მთავარია სიტყვა **„გადასახედი".**

ლაპარაკი იყო 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე, როდესაც ახალგაზრდობა აღდგა ქართული ენის დასაცავად.

1992 წ. 21 სექტემბერი

14 25 საათი, ქ.გორი

ჩემს კაბინეტში შემოვიდა ინსტიტუტის დურგალი,

ოთარი. შევთავაზე სკამი და წამოვიწყეთ მეგობრული საუბარი. რა აღარ გავიხსენეთ და ვინ აღარ ვახსენეთ. მერე ოთარს შევეკითხე – **თამაზ ჩარექოვისა** (ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი) ხომ არაფერი იცი, რამდენი ხანია აღარ მინახია, არც ის ვიცი – სამუშაო იშოვა რამე, თუ არა, ალბათ ძალიან უჭირს ოჯახის შენახვა. ის იყო ოთარმა ტუჩები შეათამაშა პასუხის გასაცემად, რომ ტელეფონმა დარეკა. ავიღე ყურმილი და ჩამესმა: „ზდრასტი“ – ასე უყვარს მისალმება **თამაზ ჩარექოვს** გიორგი მახარაშვილივით (კ/ფ „ჯარისკაცის მამა“).

1998 წ. 21 ნოემბერი

შაბათი 11 05 საათი, ქ.გორი

მეზობლისგან გამოვიტანე ძველი (ორშაბათს გამოსული) „კვირის პალიტრა“ და თან ტელევიზორს ვუსმენ და ვუცქერი. ვათვალიერებ გაზეთს და ერთ ფოტოსურათზე შევაჩერე მზერა, თუმცა ნაწერი ვერ წავიკითხე სანამ სათვალე არ გავიკეთე. ტექსტი იუწყებოდა, რომ გარდაიცვალა ფრანგული კინოს მოჰიკანი – ჟან მარე.

ზუსტად ამავე დროს ტელევიზორიდან მესმის დიქტორის ხმა: 8 ნოემბრეს გარდაიცვალა უდიდესი მსახიობი ჟან მარე-ო.

მაშ, საოცარი არ არის, როგორ ხდება ასეთი დამთხვევა?!



1999 წ. 4 აგვისტო

14 საათი, ქ.გორი

სადარბაზოს წინ, ტროტუარზე ვარ ჩამომჯდარი ჩრდილში და კროსვორდს ჩავკირკიტებ.

რაღაც სამედიცინო ხასიათის შეკითხვა შემხვდა, რომლის პასუხსაც ვერ მივაგენი და ვინატრე – ნეტავ ჩვენმა **ახალმა მეზობელმა** გამოიაროს, ექიმია და ეცოდინება.

ის იყო, რომ გადავედი სხვა შეკითხვაზე და მომესმა: „გამარჯობა რევაზიჩ, ასანთი გექნებათ“. თავზე მადგა ჩვენი **ახალი მეზობელი** ექიმი ფრიდონი!!!

1999 წ. 28 ნოემბერი

10 30 საათი, ქ.გორი

თოვს. ბაზარი მოვიარე და სახლში ვბრუნდები შ.ხერხეულიძის მიხვეულ-მოხვეული და ვიწრო ქუჩით.

დღეს გადაწყვეტილი მქონდა მივსულიყავი **კოლია კოგუტოვთან,** რომელსაც ცოლი საავადმყოფოში უწევს. ვფიქრობ – მივალ **კოლიასთან,** მოვიკითხავ მისი მეუღლის ჯანმრთელობას, ესიამოვნება კაცს ყურადღების გამოჩენა მეზობლის მხრიდან.

ამის გაფიქრების შემდეგ, ათი ნაბიჯიც არ მექნებოდა გავლილი, რომ მოსახვევიდან გზის სწორ მონაკვეთზე გამოვიდა, ჩანთით ხელში, ბაზრისკენ მიმავალი **კოლია კოგუტოვი!!**

1999 წ. 24 ივლისი

დაახლოებით 22 საათი, ქ.გორი, სტალინის 24

ეზოში დომინოს ვთამაშობთ. უცბათ ჩაქრა სინათლე. რაღათქმაუნდა თამაში შევწყვიტეთ და გავაბით საუბარი, როგორც იტყვიან აქეთურზე და იქეთურზე.

ვზივარ სკამზე, ზურგით სტალინის ქუჩისკენ და ვფიქრობ: **დათო ნადირაშვილი,** რომელმაც ცოლ-შვილი

სურამში წაიყვანა, ალბათ ღამე იქ დარჩა, თორემ აქამდე ჩამოვიდოდა და ჩაერთვებოდა თამაშში.

არ გასულა ერთი წუთიც და ეზოში შემოსული მანქანის გაჩახჩახებულმა ფარებმა გაანათეს ჩაბნელებული ეზოს კუთხე-კუნჭულები.

დათო ნადირაშვილი დაბრუნდა სურამიდან!!?

1999 წ. 21 აგვისტო

12 საათი, ქვორი

ერთ ჩემს ნაცნობს სახლის წინ უდგას დახლი და ვაჭრობს ათასნაირი წვრილმანით. ერთი ახალგაზრდა მოვიდა და გვთხოვა – ორი ცალი ბეტონის ლურსმანი გექნებათო. ჩემმა ძმაკაცმა უთხრა, რომ არა აქვს. ახალგაზრდა წავიდა. მე კი გავიფიქრე: გუშინ, **ამირან კურტანიძის** სახლის აივანზე დივანს, რომ ვარემონტებდით, იქ ხარახურაში ეყარა ბეტონის ლურსმნები, ნეტავ ორი ცალი წამომეღო, ხომ გავახარებდი-მეთქი ამ ახალგაზრდას.

გავიხედე მარჯვნივ ტროტუარის გასწვრივ. ჩვენსკენ მოდიოდა **ამირან კურტანიძე** თავისი განუყრელი ხელჩანთით.

1999 წ. 22 დეკემბერი

საღამოს 10 საათია

სულ ახლახანს, ჩემს უფროს ვაჟს **დევის** მიანიჭეს გენერალ მაიორის სამხედრო წოდება.

სახლში ვარ და ვფიქრობ: ცუდი არ იქნება თუ გორის საზოგადოება (დევი თბილისში ცხოვრობს და მუშაობს) გაიგებს ამ სასიხარულო ამბავს – ის ხომ გორში დაიბადა და დავაჟკაცდა. გავიფიქრე მივალ გაზეთ „გორის მოამბის“

რედაქტორთან, ზაურ წაქაძესთან და ჩემ მეგობარ პოეტ ჯემალ ინჯიასაც ვეტყვი, რომ რაიმე ლექსი დაწეროს ამ სასიხარულო და საამაყო მომენტთან დაკავშირებით.

ორივეს ძალიან გაუხარდა, როცა მეორე დღეს ვინახულე ისინი და დამპირდნენ მზარში დგომას. ჯემალმა კი გაკვირვებით მითხრა: „კაცო, წუხელის რატომღაც **დევიზე** ვფიქრობდი და მეუღლესაც ვესაუბრე შენი ბიჭის შესახებო. ეხლა მე დავრჩი გაკვირვებული და ვეკითხები ჯემალს: „გუშინ, დაახლოებით რომელ საათზე საუბრობდით-მეთქი ჩემი ბიჭის შესახებ“.

ძვირფასო მკითხველო, ალბათ გაგაკვირვებთ ჯემალის პასუხი – იქნებოდა ესე, საღამოს 10 საათიო!!! მეც ხომ საღამოს 10 საათზე ვფიქრობდი დევიზე!!

2000 წ. 15 ივნისი

12 საათი, ქვორი

ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ვარ წასასვლელი და ტანსაცმელს ვიცვამ. თან ტელევიზორი მაქვს ჩართული და ვუსმენ „მოამბეს“. ვფიქრობ: „ნეტავ, აქვე გორში მაპოვნინა ჩემთვის საჭირო ლიტერატურა, რათა არ მომიწიოს წასვლამ თბილისში, **საჯარო ბიბლიოთეკაში.** ო, ეს **„საჯარო“** (ასე ვეძახდით ხოლმე სტუდენტობის დროს), რამდენი კარგი მახსოვს მასთან დაკავშირებით, რა ძვირფასი ფონდი აქვთ და რა კარგი პირობებია შექმნილი მუშაობისათვის. გამოცდების დროს ხომ სულ იქ ვიყავი. რაც გინდა, სულო და გულო, შეუკვეთე და მოგართმევენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოცემულ ლიტერატურას და საერთოდ ყველაფერს, რისი წაკითხვაც კი შეიძლება. **საჯარო ბიბლიოთეკა,** კულტურის ნამ-

დვილი კერაა, – ვფიქრობ და თან ტანსაცმელს ვისწორებ სარკის წინ. ზუსტად ამ მომენტში ტელევიზორიდან მესმის: „**საჯარო ბიბლიოთეკაში** გაიხსნა გამოფენა...“ ისე გამაოგნა სიტყვა „**საჯაროს**“ მოსმენამ, რომ ვერც კი დავაზუსტე, თუ რა გამოფენაზე იყო საუბარი.

დავხედე საათს – იყო 12 საათი და 14 წუთი.

2000 წ. 13 იანვარი

14 $\frac{10}{}$ საათი, ქ.გორი

კოტეს მაღაზიაში, მისი მეზობელი გიორგი რაზიკაშვილი „კვირის პალიტრის“ ნახატებიან კროსვორდს ავსებდა. კოტეს რადიომიმღები ჰქონდა ჩართული და „ფორტუნა“-ს არხზე ისმენდა მუსიკალურ პროგრამას.

გიორგიმ თავი მოიქექა და ცნობისმოყვარეობით იკითხა: რა ეწოდება კლავიშებიან, დიდ მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომელსაც უფრო მეტად ეკლესიებში აჟღერებენო. ამ დროს რადიოდან მოისმა ხმა: „ახლა მოისმინეთ **საორღანო** მუსიკა“-ო.

გიორგიმ უცბად მიიღო პასუხი შეკითხვაზე.

2001 წ. 26 თებერვალი

დილა, ქ.გორი

ეზ იანვარს ფული დამჭირდა და მივედი ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მეზობელთან. მან სიამოვნებით მასესხა საჭირო თანხა ერთი თვის ვადით.

ფული გამოვართვი და გვერდზე გავდექი, რათა ადგილი დამეთმო მშვენიერი, **ტანწერწეტა, ქერათმიანი** გოგონასათვის, რომელსაც ხელში 20 დოლარიანი ეჭირა. ცოტახანს ვუცქერდი ბუნებისაგან შექმნილ ულამაზეს არსებას და მერე გაუყევი ჩემ გზას.

დღეს კი, 26 თებერვალს (ვალის აღებიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ) დილის 11 საათზე მივედი იმავე პუნქტში, მოვიხარე წელში და „ფორტოჩკის“ ქვემოდან გამოცურებულ სპეციალურ ყუთში ჩავდე ვალი. რატომღაც ამ წუთებში გამახსენდა ის ქერათმიანი გოგონა. ვიგრძენი, რომ გვერდში ვიღაც ამომიდგა. ჩემს შეზობელს დიდი მადლობა გადავუხადე მხარში ამოდგომისათვის, ჩამოვცილდი „ფორტოჩკას“ და გავიმართე წელში. ჰოი, საოცრებავ – გვერდით მედგა ის მშვენიერი, **ტანწერწეტა, ქერათმიანი** გოგონა, კვლავ ოცდოლარიანით ხელში.

მერწმუნეთ, რომ ეს არ იყო მოჩვენება.

2001 წ. 2 მარტი

10 $\frac{25}{}$ წუთი, ქ.გორი

უკვე ერთი კვირა იქნება, რაც თბილისში ვერ ვრეკავ ჩვენებთან. სინათლე არ არის, უკვე ექვსი დღეა, და როგორც ჩანს ელექტროკავშირს უჭირს მუშაობა.

ვფიქრობ: „ნეტავ, როგორ არიან, დევი შორეულ მივლინებაში წავიდა და არ ვიცი როგორ ჩავიდა და დაბინავდა, რეზო ავად იყო და მკურნალობდა, ანა უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად ემზადება, ლარისაც ვერ არის მთლად ჯანმრთელად, პატარა ირინე ხომ მენატრება და მენატრება.“

ეს ყველაფერი იყო ერთი კვირის წინ. ეხლა კი არაფერი ვიცი, როგორ არიან. ნეტავ თვითონ მაინც რატომ არ ცდილობენ დარეკვას?!

გავიფიქრე – მოდი ერთხელ კიდევ წავალ ფოსტაში და იქნებ დავრეკო როგორმე.

ამ დროს აწკრიალდა (ხანგრძლივი ზარით) ტელეფონი. ყურმილი მეუღლემ აიღო. რეკავდა შვილიშვილი ანა. იყო 10 საათი და 25 წუთი.

2001 წ. 17 მარტი

12 50 საათი, ქ.გორი

ტელევიზიის პირველი არხით უჩვენებენ ნანა ჯაფარიძის გადაცემას საკითხზე: ქართული და აფხაზური დელეგაციების ქ.იალტის შეხვედრის შედეგები.

ვუცქერი და ვფიქრობ: „რაღაც სასიკეთო გამოკრთა ამ შეხვედრის შემდეგ, ეს კარგია... ახლა მთავარია სინათლე არ ჩაქრეს, რომ 15 საათზე ვუყურო საქართველოსა და ესპანეთის მორაგბეთა შეხვედრას.“ გავიფიქრე ეს და შუქიც ჩაქრა. 12^50 საათი.

2001 წ. 24 ივნისი

დაახლოებით 18 საათი, ქ.გორი

მაგიდას ვუსხედვართ მე, თამაზ კასრაძე და ალბერტ ურიგაშვილი. პატარა პურმარილი გვაქვს ჩემთან – სახლში.

შევთავაზე და-ძმების სადღეგრძელო. ალბერტი არ იცნობს ჩემიანებს და მეკითხება, დედმამიშვილები რამდენნი ხართო.

მე ვპასუხობ: მამაჩემის პირველი ცოლიდან მყავდა ძმა, ნიკო, რომელიც გარდაიცვალა, მერე ცოლიდან ვართ მე და ჩემი და **დარეჯანი,** ხოლო შესამე ცოლიდან...

ამ დროს რეკავს ტელეფონი გაბმული ზარით. ავიღე ყურმილი, მირეკავდა ჩემი და **დარეჯანი** – თელავიდან!!!

2001 წ. 27 ივლისი

16 05 საათი, ქ.გორი

შევედი ქალაქის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში. მინდოდა მენახა ერთ-ერთი ბუღალტერი პენსიასთან დაკავშირებით. ბუღალტერი არ დამხვდა. გამოვტრიალდი უკან და გავუყევი გრძელ დერეფანს. ერთ-ერთი ოთახის ღია კარიდან მესმის: „გოგოებო, ნახეთ რა ლამაზი გვარია – ვარდიგულოვა, გესმით, ვარდიგულოვა. რა კარგად ჟღერს, ნეტავ ვინ არის ირინა ვარდიგულოვა?“

მე უცბათ შევკრთი, შევჩერდი, მერე კი შევედი ოთახში და გოგონებს ვუთხარი – ეგ ჩემი მეუღლეა, რაშია-მეთქი საქმე. თურმე აზუსტებდნენ პენსიონერთა სიებს.

აი, დამთხვევა!

2001 წ. 16 ოქტომბერი



19 30 საათი, ქ.გორი

ტელევიზორი მაქვს ჩართული პირველ არხზე, ველოდები „მოამბეს“. გადაცემა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, პოეტ ხარანაულს ეხება. ამავე დროს გადაშლილი მაქვს წიგნი „დასურათებული ბიბლია“. მაინტერესებს ადამ და ევას შესახებ მონაცემები, კერძოდ მათი შვილების ვინაობა.

მე-12 გვერდზე ვკითხულობ... „ახლა მათ მოუწევთ შრომა ლუკმაპურის მოსაპოვებლად“...

ამ დროს, წუსტად 1930 საათზე ტელევიზორიდანაც მესმის „ლუკმაპურის საშოვნელად წავიდნენო“...!!

გაოცებული ვარ.

2001 წ. 19 ნოემბერი

16 45 საათი, ქ.გორი

ვუცქერ ტელეგადაცემას პირველი არხით. უჩვენებენ ფილმს ებრაელების უძველესი ისტორიის შესახებ.

ვფიქრობ: ახლა, რომ სინათლე ჩაქრეს, ვერც ფილმს ვნახავ ბოლომდე და ვერც სამზარეულოში, ელექტროქურაზე დადგმულ ქვაბში ვერ მოიხარშება ლობიო (ბუნებრივი გაზი, როგორც წესი, არა გვაქვს).

შეწყდა ფიქრის ეს ფრაგმენტი და სინათლეც ჩაქრა!

სინათლის ჩაქრობა-გაქრობა არ არის ახალი რამ ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ნაფიქრალის ასეთი დამთხვევა რეალურად მომხდარ ფაქტთან, მართლაც რომ საოცარია!!!

2002 წ. 26 იანვარი

20 25 საათი, ქ.გორი

ვსაუბრობთ ოჯახის წევრები.

ჩამოვიდა თბილისიდან ჩემი უფროსი ვაჟი დევი მეუღლესთან ერთად, რათა წაიყვანონ ჩემი შვილიშვილი ანა. მათ თბილისიდან გორში წამოიყვანეს ნათელა ქარუხნიშვილი და მიიყვანეს სახლში.

მე ვკითხულობ — „ნათელა ხომ გათხოვდა, მეუღლე ვინ არის?“

არაო, მიპასუხეს — მისი უფროსი და, **მარინა** გათხოვდაო.

ამ დროს, ზუსტად 2025 საათზე, რეკავს საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარი. რეკავდა **მარინა** თბილისიდან — როგორ იმგზავრეთო!!!

2002 წ. 14 იანვარი

დილა, ქ.გორი

ვარ სახლში. სიგარეტის მოსაწევად გავედი სადარბაზოში.

ვფიქრობ: დღეს არის თეატრის დღე, ლადო ასათიანის დაბადების დღე, არის ნინაობის დღე და, რაც ყველაზე ახლოს არის ჩემთან, ჩემი მეგობრის ჯემალ ინჯიას დაბადების დღე, რაც არასდროს არ მავიწყდება. ახლაც, ამ მომენტშიც ვფიქრობ **ჯემალ ინჯიაზე** და ვაპირებ დავურეკო ტელეფონით და მივულოცო, მაგრამ ჯერ ადრეა და ცოტა ხნის შემდეგ შევეცდები გულითადად მივულოცო.

გამოდის მეუღლე და მეუბნება — ტელეფონთან გთხოვენო. მირეკავდა **ჯემალ ინჯია** — სამ საათზე სამსახურში გამომიარეო.

ჯემალი შესრულდა 65 წლის.

2002 წ. 26 მარტი

დაახლოებით 13 საათი, ქ.გორი

ჩემთან სახლში ვართ მე და ჯემალ რობაქიძე და ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ გადავიღოთ ტელევიზიისთვის გადაცემა აგნი იოგას მეთოდით მკურნალობის შესახებ.

ჯემალმა მითხრა, რომ ეს „ხელოვნება“ ოქროს საწმისთან და არგონავტებთან არის დაკავშირებული და ჩვენ წელთაღრიცხვამდე 15 საუკუნით ადრე იღებს სათავესო.

მე შევეკამათე — არგონავტები და ოქროს საწმისი ასე ადრე არ იყო, ალბათ 4-5 საუკუნის წინ იყო-მეთ-

ქი; არაო, მიპასუხა ჯემალ რობაქიძემ. ვერ დავეთანხმე და ვუთხარი – მაქვს ლიტერატურა და გადავხედავ-მეთ-ქი.

საღამოს 18 საათი და 15 წუთია. ვზივარ სამზარეულოში მაგიდასთან და ვათვალიერებ გაზეთს, თან პორტატული რადიომიმღები მაქვს ჩართული. ერთდროულად ვფიქრობ იმაზე, თუ რომელ წიგნში მოვნახო ინფორმაცია **არგონავტების** ლაშქრობებისა და ოქროს საწმისის შესახებ.

ამ დროს რადიოდან მესმის აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის სიტყვები: „**არგონავტებმა** თავიანთი ლაშქრობები კოლხეთში წამოიწყეს ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-15 საუკუნეში და მოახერხეს დაუფლებოდნენო ოქროს საწმისს.

საოცრებაც ასეთი უნად!!!

2002 წ. 4 ივლისი

8 53 საათი, ქ.გორი

ტელევიზორით ვუცქერ 3 ივლისის ღამის „კურიერის“ განმეორებით ჩვენებას. ტელევიზორს ვამუშავებ სტაბილიზატორის საშუალებით, რადგან ძალიან ხშირია ძაბვის „თამაში“ და მეშინია ტელევიზორის დაზიანების. ამავდროულად ვფიქრობ: სტაბილიზატორის მიერ მოხმარებული ენერგია დამატებითი ხარჯია ელექტროენერგიის და ეს საკითხი მაწუხებს, იმიტომ რომ მეზობელი (დათო ნადინარშვილი) მაძლევს ძაბვას და ჩემი დანახარჯი აღინიშნება მის მრიცხველზე. მეუხერხულება და აქვე კვლავ ვფიქრობ, რომ მალე აღდგეს ძირითადი კაბელი (რომელიც დაზიანებულია), რათა მეზობელი ზედ-

მეტად არ შევაწუხო.

გავიფიქრე თუ არა ეს და ზუსტად 8 53 საათზე გამოირთო ძაბვა.

არ არის ეს საოცრება?

2002 წელი 13 ივლისი

ზუსტად 13 04 საათია, ქ.გორი

ოთახში ვარ. ჩართული მაქვს ტელევიზორი. ვუცქერ „რუსთავი-2“-ის არხს. სავარძელში ჩამთვლიმა, ამიტომ არ ვიცი რა ფილმს უჩვენებენ, ისე კი ეტყობოდა, რომ ე.წ. „უჟასებია“.

დღეს ძალიან ცხელა, გავიფიქრე: „რა აუტანელი სიცხეა“. და ამ დროს ე.ი. ზუსტად 13 04 საათზე ტელევიზორიდან მესმის ერთ-ერთი პერსონაჟის ხმა – „რა აუტანელი სიცხეა“. (!?)

2002 წელი 1 სექტემბერი

8 06 საათი

ჩართული მაქვს პორტატული რადიომიმღები და ვუსმენ FM 102,4 ტალღაზე გადაცემას; გავიხსენე ჩემი ლექსები, რომლებიც გამოსაქვეყნებლად დავუტოვე გაზეთ „ლიბო“-ს მთავარ რედაქტორს, ქ-ნ **ლამარა** შაყულაშვილს.

ვფიქრობ: „ნეტავ, როგორი ქალია **ლამარა,** როგორი ლექსები მოსწონს, გამომიქვეყნებს თუ არა ჩემს ნაშრომს“...

ამ დროს პროგრამის წამყვანი აცხადებს: „... ახლა კი პროგრამაში ჩაგვერთო რადიომსმენელი **ლამარა,** მოვისმინოთ მისი აზრი!!?

2002 წლის 12 მაისი



დილის 6 საათი და 50 წუთი

(კვირაცხოვლობის დღე)

ვუსმენ საქართველოს რადიოს გადაცემას „დილა-ადრიან“. პროგრამის წამყვან შალვას მიყავს გადაცემა ქართული ოჯახური ჩვევებისა და ტრადიციების შესახებ.

სტუდიაში ტელეფონით რეკავს ვინმე თამაზი. შალვას დიალოგი აქვს მასთან.

ამ დროს ჩემთვის ვფიქრობ, რა დღეა დღეს, რას ნიშნავს სვეტიცხოვლობა, ... არა, არა **სვეტიცხოვლობა** კი არა, კვირაცხოვლობა“ გავასწორე ჩემი შეცდომა ფიქრში და გავაგრძელე (ფიქრი) რატომ შემეშალა, აბა შალვას ხომ არ შეეშლება-მეთქი“.

ამ დროს შალვა მიმართავს თამაზს: „გილოცავთ ბატონო თამაზ **სვეტიცხ...** ოჰ, ბოდიში, **კვირაცხოვლობას** და მადლობთ რომ გამოგვეხმაურეთო.

დავხედე საათს. იყო 6 საათი და 53 წუთი.

2002 წ. 28 მარტი

20 $\frac{30}{}$ საათი, ქ.გორი

მეუღლეს ვეკითხები: „როდის დარეკა სულ ბოლოს შვილიშვილმა **ანამ,** თბილისიდან?“ მეუღლე მპასუხობს, რომ ოთხი დღის წინო. იქნებ შეუკვეთო-მეთქი საქალაქთაშორისო სამსახურს თბილისის ტელეფონი – გავიგოთ, თუ როგორ არის-მეთქი.

ამ დროს რეკავს ტელეფონი. ავიღე ყურმილი. როგორა ხარ პაპაო, მეკითხება **ანა** თბილისიდან.

2002 წ. 15 ივნისი

16 $\frac{25}{}$ საათი, ქ.გორი

დილით ვუყურე გერმანიისა და პარაგვაის მერვედფინალურ მატჩს ფეხბურთში მსოფლიოს XVII ჩემპიონატიდან.

ახლა კი სავარძელში მოხერხებულად მოვაწყე და მინდა კარგად ვუცქირო ტელეეკრანს. სადაცაა უნდა დაიწყოს მერვედფინალური მატჩი ინგლისისა და დანიის ეროვნულ ნაკრებებს შორის.

ვემზადები, ველოდები და ვფიქრობ: „რაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო – სინთლე არ გათიშულა, ამით მაინც გვცემს პატივს ჩვენი ხელისუფლება. კარგია, იქნებ ხალხმა ცოტა შვება იგრძნოს.“

გავიფიქრე ეს და სინთლეც ჩაქრა, თუმცა ცოტა ხნით, სულ რაღაც 6-7 წუთით. ისე, რომ ფეხბურთის მოყვარულებმა ერთხელ კიდევ ვინერვიულეთ, არადა კარგი თამაში იყო. ინგლისის ნაკრებმა მოიგო 3:0.

2002 წ. 28 ოქტომბერი

20 $\frac{40}{}$ საათი

ვეძებ ელექტროდამაგრძელებელს, მინდა ვიდეომაგნიტოფონი ჩავრთო სტაბილიზატორიდან, რადგანაც ძაბვა „თამაშობს“.

გადავქექე მთელი ბინა, მაგრამ დამაგრძელებელი ვერ ვიპოვე. მეუღლე მეუბნება – მგონი **რეზომ** წაიღო თბილისშიო. არ მახსოვს. ფიქრი გამექცა **რეზოსკენ.** ნეტავ როგორ არის ბავშვი თუ გამოჯანმრთელდა? ჩამოსვლას აპირებდნენ, ნეტავ როდის ჩამოვლენ. ამ ფიქრით ვიყავი დაკავებული როცა დარეკა ტელეფონმა „მამა, როგორა

ხართ, ხომ არ გცივათ, შეშა გაქვთო?“ — რეკავდა თბილისიდან **რეზო.**

2003 წ. 19 აპრილი

7 50 საათი

ღამით სიზმარი ვნახე (იშვიათი შემთხვევაა). ერთი მეგობარი (სახელი და სახე არ მახსოვს) მეუბნება, რომ ანსამბლის ჩამოყალიბებას აპირებს და მთავაზობს გიტარისტის ადგილს. მე ვიწყებ ვარჯიშს (ძალიან დიდი ხანია არ დამიკრავს) და მივმართავ 1950-იან წლებში პოპულარულ ძაგნიძისა და ჩხიკვაძის რეპერტუარს. მათ ჰქონდათ სიმღერა (**„დილით შენს ბაღში ვლიღინებ...“**), რომელსაც ორი გიტარისთვის აქვს ტექნიკურად საკმაოდ რთული, მაგრამ ძალიან მელოდიური შესავალი.

ჰოდა დავიწყე ამ შესავალის შესრულება, რაც ერთდროულად წარმოადგენს გადაჩვეული თითების გავარჯიშების საუკეთესო საშუალებას, მერე ყველაფერი გაქრა. დილით კი, როცა გავიღვიძე, ჩავრთე რადიო. 7 50 ზუსტად ამ დროს, პროგრამაში „დილაადრიან“ გაისმა ძაგნიძისა და ჩხიკვაძის დუეტის ხმები. უკრავდნენ და მღეროდნენ სიმღერას **„დილით შენს ბაღში ვლიღინებ...“**

2003 წ. 9 თებერვალი

9 30 საათი

მე და მეუღლე ვუცქერით ტელეგადაცემას. პროგრამის წამყვანს, ნინო შუბლაძეს სტუდიაში სტუმრად ჰყავს ასტროლოგი ცაგარელი.

დამთავრდა საუბარი ზოდიაქოს თანავარსკვლავედებზე. დადგა მაყურებელთან გამომშვიდობების მომენტი.

მივმართავ მეუღლეს: „ეს გოგო (შუბლაძე) ხან ძლიერ მომხიბვლელია, ხან კი რაღაცნაირად უფერული, მაგრამ ყოველთვის გამართული ქართულით მეტყველებს და თითქმის არ უშვებს შეცდომებს.“

ამ დროს, ნინო შუბლაძეს ისე აებლანდა ენა, რომ ძლივს დაამთავრა სათქმელი. ამასთან თვითონაც გაკვირვებული იყო (ეს როგორ დამემართაო) და ღიმილით დაემშვიდობა მაყურებელს.



2005 წ. 9 დეკემბერი

დაახლოებით 16 30 საათი

ვარ გორის რაიონის გამგებელის მისაღებში. მინდა მიმიღოს და ვესაუბრო ერთ ჩემთვის საინტერესო და ხელსაყრელ საქმეზე.

მინდა დეტალურად ვესაუბრო და დავარწმუნო საქმის მიზანშეწონილებაში და სარგებლიანობაში, მაგრამ მეშინია, რომ ხელს შემიშლიან (როგორც ხშირად ხდება) და არ მომეცემა საშუალება ბოლომდე ავუხსნა ვითარება (გამგებლებს ხომ სულ ეჩქარებათ!).

ვზივარ და ვფიქრობ: „მოკლე დროში, როგორ ავუხსნა ყველაფერი, რით დავიწყო ან რით და როგორ ვუპასუხო მის მოსალოდნელ შეკითხვებს.

ხალხი შედის და გამოდის. მოვიდა ჩემი რიგიც. ვნერვიულობ. ვინ შეიძლება ხელი შემიშალოს — მოსაცდელში აღარავინაა, მაგრამ რომელიმე თანამშრომელი ხომ შეიძლება შემოვიდეს „ურიგოდ?“

არა უშავს — ვფიქრობ ჩემთვის. მთავარია **გუბერნატორმა** არ გამოიძახოს.

შევედი, მივესალმე, ავუხსენი ვითარება და... ურეკა-

ვენ მობილურით!!...

„...ბოდიშს გიხდით, **გუბერნატორი** მიხმობს, მოადგილესთან მიბრძანდით“... მითხრა და სასწრაფოდ წამოდგა...

2005 წ. 11 ნოემბერი

14 35 საათი

სახლიდან გამოვედი და გავუყევი სტალინის გამზირს ცენტრალური მოედნისაკენ.

კავშირგაბმულობის სახლის წინ მანქანები ჯგუფად იდგნენ შუქნიშნის მოლოდინში. ჭარბობდნენ არარუსული მანქანები. გამახსენდა **ვ.წიქარიძის** „პიკაპის“ ტიპის მანქანა, რომელიც ლურჯ-თეთრადაა შეღებილი. ის, მე მგონი ერთადერთია გორში, ამიტომ შორიდანვე სცნობს ყველა. აინთო მწვანე ნიშანი და ის იყო დაიძრნენ მანქანები, რომ გზაჯვარედინს მოადგა **ვ.წიქარიძის** პიკაპიც.

2005 წ. 15 ნოემბერი

11 23 საათი

ტროტუარს მივუყვები სტალინის სახლ-შუზეუმისკენ. მხედველობის დაქვეითების გამო მიჭირს ადამიანების ამოცნობა სათვალეებითაც კი.

შემხვედრად მოდის ერთი მამაკაცი. მომეჩვენა, რომ ის **ნუგზარია** (ჯემალ ინჯიას ვაჟი). მოვემზადე მისასალმებლად, მაგრამ ჩამიარა თუ არა მივხვდი, რომ ის არ იყო. არადა აღნაგობით და სიარულის მანერით — ნამდვილად ჰგავდა. გავაგრძელე გზა და ფიქრი: კარგი ბიჭია **ნუგზარი** (ნუგო): ზრდილობიანი, განათლებული, ტანადი. სწორედ ამ დილით ლოგინში ვკითხულობდი ჯემალ ინჯიას თხზულებათა მე-2 ტომს. ერთ-ერთ ლექსში ის ახსენებს თავის შვილს — ნუგოს, ნუგზარს. გავიარე დაახლოებით 15-20 მეტრი და ვხედავ მოდის **ნუგო**. ახლა კი არ შევცდი. ეს ნამდვილად ნუგოა, მზის სათვალეებით. კეთილად მივესალმეთ ერთმანეთს. დავიხედე საათზე 11 25.

2005 წ. 29 სექტემბერი

დილის 8 20 საათი, ქ.გორი

დილით ჩავრთე პორტატული რადიომიმღები და მესმის მამაკაცის დაბალი ტემბრის ხმით საუბარი, რომელიც ძალიან მივამსგავსე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის **ვ.მაღლაფერიძის** ხმას.

სულ რამდენიმე დღის წინ, ქარჩოხის ბრძოლის საიუბილეო დღესასწაულის დროს ახლოს შევხვდი მას და დღესაც ყურში მესმის მისი ხმის ჟღერადობა (ძალიან მომწონს მამაკაცის მისებრი ხმა). რადიოში კი კვლავ განაგრძნობს საუბარს ისევ ის, ჩემი აზრით **ვ.მაღლაფერიძე,** მაგრამ შინაარსით მივხვდი, რომ (საუბარი იყო ქვეყანაში მაწანწალა ძაღლების პრობლემაზე) საუბრის თემას თითქმის არანაირი კავშირი არ ჰქონდა **ვ.მაღლაფერიძის** პიროვნებასთან, საქმიანობასთან.

რადიოგადაცემის დამთავრებისას კი ცნობილი გახდა, რომ საუბრობდა არა **მაღლაფერიძე,** არამედ **მაღლაკელიძე** (ვეტერინარიის დეპარტამენტის მგონი თავმჯდომარე. გვარები ხომ გავს და გავს ჟღერადობით ერთმანეთს, მაგრამ ხმა?!

მართლაც უცნაური დამთხვევაა.

2005 სექტემბერი 20 რიცხვი

დღის 11 48 საათი, ქ.გორი, სტალინის 24/6

მოსკოვის „РТР планета“ არხზე ვუცქერ სერიალს

„გამოჯანმრთელება სიყვარულით“ დაიწყო 1... სერია.

მოსკოველი მწერალი თავის ტრავმით მიდის ექიმთან. ექიმი უსვამს დიაგნოზს: „ტვინის შერყევა“.

ექიმი სთხოვს — მომიყევი ყველაფერი, როგორ მიიღე ტრავმაო.

მწერალი ყვება: იცით, მე შუქურაში ვცხოვრობ დროებით. საღამოს **შუქი ჩაქრა...**

და **შუქი** მართლა **ჩაქრა** და ჩემი ტელევიზორიც დადუმდა. (?!)

დავიხედე საათზე: 11 საათი და 48 წუთი.

2005 წ. 30 აგვისტო

14 $\frac{55}{}$ საათი

მე და დათო ნადირაშვილი ესესაა ჩამოვედით ფხვენისიდან.

სამზარეულოში შევედი, რაღაც მინდა მოვამზადო, მშია.

შევუდექი საქმეს. მაგრამ ვიცი არ დამაცდიან, **ჯემალ ბაშარული** დარეკავს ან პირდაპირ მოვა — გავიფიქრე ეს და ქვაბს მოვურიე. ამ დროს რეკავს ტელეფონი: „**ჯემალი** ვარ, ხომ შეიძლება მოვიდე!“

შევეკითხე, საიდან რეკავ-მეთქი — მიპასუხა აქედან და აქედანო. მანძილი (პირდაპირი) დაახლოებით ორასი მეტრი.

2005 წ. 31 აგვისტო

9 $\frac{10}{}$ საათი

დიდი ხანია ვფიქრობ, რომ შიდა ქართლის გუბერნატორს შევთავაზო იდეა, ქალაქში, თვალსაჩინო ადგილზე ხმიანი საათის დაყენებისა.

მინდა მივაწოდო მოკლე ცნობები მსოფლიოში ცნობილი საათების შესახებ (მათი მნიშვნელობა, ისტორია, კერძო სახელები და ა.შ.), მაგრამ ასეთი მონაცემები არ მაქვს და არც ვიცი სად მოვიპოვო.

დილის 9 საათია. ისევ ვფიქრობ ამ საკითხზე. რადიო მაქვს ჩართული და მესმის დიქტორის ხმა: „... ახლა კი მოისმინეთ მოკლე მონაცემები მსოფლიოს მნიშვნელოვანი და ცნობილი საათების შესახებ...“

ზუსტად იყო 09 ^{10} საათი.

იღბალიც ასეთი უნდა.

2005 წლის 15 ივლისი

12 $\frac{45}{}$ საათი, ქ.გორი

ჭავჭავაძის გამზირით მივდივარ სამეფოს ქუჩისკენ. ნ.ბარათაშვილის ძეგლთან, ტროტუარზე ჩემსკენ მოდის მამაკაცი. მივამსგავსე **გიას** (გვარი არ მახსოვს. სამხედრო ნაწილში მუშაობდა მთ.ბუღალტრად. კარგი ბიჭია). მხედველობა დაქვეითებული მაქვს და მიჭირს გავარჩიო — მართლაც **გია** არის თუ არა. ყოველ შემთხვევისათვის მოვემზადე მისასალმებლად. დაახლოებით ორ მეტრზე, რომ მომიახლოვდა, მივხვდი რომ „ის“ არ იყო **გია.**

გავცდით ერთმანეთს თუ არა, ფოტოატელიის კარებში მდგარმა ახალგაზრდამ „იმის“ დანახვაზე შესძახა: „ოჰ, **გია,** როგორა ხარ, სადა ხარ?“ და გადაეხვია საკოცნელად. „ის“, თურმე მაინც **გია** ყოფილა, მაგრამ არა ჩემი ნაცნობი.

2005 წ. 10 ივლისი

17 $\frac{18}{}$ საათი

ჩართული მაქვს ტელევიზორი „იმედის“ არხზე. წიგ-

ნი მაქვს გადაშლილი და ვკითხულობ გურამ რჩეულიშვილის კრებულის წინასიტყვაობას (ნუგზარ წერეთელი) (1985 წ.).

ვკითხულობ (გვერდი 7. ქვემოდან მე-7 აბზაცი) სიტყვებს: ... **„ისტორიის კუთვნილებად** ქცეულ იმ პერიოდს ჩვენ ასევე აღვიქვამთ...“

საოცრებაა – ტელევიზორიდან მესმის: „ეს უკვე **ისტორიის კუთვნილებაა...**“ უჩვენებდნენ გადაცემას მერილინ მონროს შესახებ.

შევხედე საათს. ისრები უჩვენებდნენ 17 საათსა და 18 წუთს.

2005 წ. 31 მარტი

9 55 საათი

დღეს, 11 საათზე უნდა შევხვდე ერთ თანამდებობის პირს. მეორე დღეა სახლში სინათლე არ ჩართულა და წვერმოუპარსავს მერიდება აუდიენციაზე გამოცხადება.

ჩაის ვსვამ და ვნატრობ: „რა იქნება, რომ შუქი მოვიდეს, თუნდაც 10 წუთით, მოვასწრებ გაპარსვას...“

ფიქრი არ მქონდა დამთავრებული და ჩართულად დატოვებული ნათურა აინთო (!?)

2005 წ. 31 მაისი

15 40 საათი

ქარელიდან მოვდიოდი ავტობუსით გორისკენ. ჯანჯღარა ავტობუსმა („ПАЗ“) როგორც იქნა აიარა ე.წ. რუისის ალმართი, დაეშვა თავქვეზე. ვფიქრობ: რა ცუდი დაქანებაა, ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე დაუზიანდეს მანქანას სერიოზული, როგორ შეაჩერებს მძღოლი – ალბათ მიწაყრილებს მიახეთქებს აქეთ-იქით, რომ როგორმე შეაფერხოს სვლა. როგორ უნდა მოვიქცე, ადგილი შევიცვალო, თუ დავრჩე ჩემ სკამზე. უნებურად გადავხედე ბავშვებს, გულზე რაღაც სიმძიმე ვიგრძენი. მადლობა ღმერთს ვაკეში ჩავედით და თითქმის ჰორიზონტალურ გზაზე დაბალი სიჩქარით გადავკვეთეთ რკინიგზის ლიანდაგის ხაზი თხევადი გაზის სადგურთან. ამ დროს გაისმა ჭახაჭუხის ხმა და მანქანამ დაიწყო შეციებულივით კანკალი. მძღოლმა ველარ გააგრძელა მოძრაობა. შეიხედა მანქანის ქვეშ და შეიკურთხა „...ფთუ, ამის დედა... კარდანი ჩამოვარდაო.“

ეს რომ სულ 5 წუთის წინ მომხდარიყო – დიდი უბედურება გარდაუვალი იყო.

2005 წ. 23 მაისი

14 55 საათი

სამზარეულოში ვარ და ვსადილობ. იქით, შორეულ ოთახში ტელევიზორი ჩართული მაქვს და შიგა და შიგ მესმის ხმები.

მომეჩვენა, რომ **შუქი გაითიშა.** რაღა ახლა!? „კურიერს“ მინდა მოვუსმინო და ვუყურო.

გამოვედი ოთახში, ტელევიზორი მუშაობს და უცბად ხმა ჩაუწყდა. **შუქი გაითიშა.** გულმა მიგრძნო?! თუმცა სამიოდე წუთი გავიდა და შუქიც ჩაირთო, ისე რომ „კურიერს“ ვუცქირე.

2005 წ. 27 ივნისი

15 32 საათი

ტელევიზიით ვუცქერი ბრაზილიისა და ამერიკის ქალთა გუნდების შეხვედრას საპლაჟო ფრენბურთში. მო-

მეჩვენა, რომ ტელევიზორი დიდ ხმაზე მქონდა ჩართული.

გადავწყვიტე, რომ ხმას დავუწიო, თორემ ტელეფონზე (რომელიც სამზარეულოშია) დარეკვის ხმას ვერ გავიგებ, ხომ შეიძლება ვინმემ გამიხსენოს.

ჩავუწიე თუ არა ხმას და გაისმა კიდეც გრძელი ზარის ხმა, თბილისიდან რეკავდა უმცროსი ვაჟი – რეზო.

იყო ზუსტად 15 32 საათი.

2005 წ. 6 აპრილი

ოთხშაბათი, 17 50 საათი

მობილურით დავურეკე ზაზა გიგაურს, რაღაც მქონდა სათქმელი.

მიპასუხა აღტაცებულმა და გახარებულმა: „ძია ვახო, განსხვავებული სასმისით ვსვამ სადღეგრძელოს, შენი ბიჭის (დევის) თამადობით. სწორედ რომ ღმერთმა ინება და ჩემთან დაგარეკინაო. ასე კარგად დაემთხვეს ყველაფერი შენ ცხოვრებაშიო.

მართლაც, რა ძალამ მიბიძგა, რომ დამერეკა მაშინ, როდესაც ჩემი უფროსი ბიჭის სადღეგრძელოს მიირთმევდნენ.

საოცარია!

2005 წ. 24 მარტი

11 50 საათი

მარტო ვარ სახლში. ბიჭები დამპირდნენ გამოგივლითო. ვიფიქრე – კარტოფილს შევწვავ, ყველი და პური მაქვს და ერთი ჭიქა ღვინით გავუმასპინძლდები-მეთქი.

დავიწყე კარტოფილის გაფცქვნა. თავში გამიელვა აზრმა: „ვაი, თუ **გაზი შეწყვიტეს,** სინათლეც არ არისმეთქი.“

მივედი გაზქურასთან, გავკარი ასანთი და გავაღე ონკანი. **გაზი მართლაც შეწყვეტილი** იყო. არადა, გაზი თითქმის უწყვეტად გვაქვს...

2005 წ. 31 იანვარი

17 35 საათი, ქ.გორი

სამსახურიდან მოვედი სახლში. დავიწყე საგარეო ტანისამოსის და ფეხსაცმელების გახდა და თან ვფიქრობ: „დავრეკავ თბილისში, დაველაპარაკები **რეზოს,** რამდენი ხანია არ დაურეკავს“.

ამ დროს რეკავს ტელეფონი (საქალაქო) ყურმილი აიღო მეუღლემ. რეკავდა **რეზო,** რომელიც ძალიან ცუდ ხასიათზე იყო.

2005 წ. 23 თებერვალი

12 30 საათი

ვზივარ რედაქციაში, ჩემ სამუშაო მაგიდასთან. ჯიბიდან ამოვიღე სია მათი, ვისაც ჩემი წიგნები მივეცი სარეალიზაციოდ.

გრძელ სიაში გამოიკვეთა **ვ.ვანიშვილი,** რომლისთვისაც სკოლაში გამიტანებია რამდენიმე წიგნი, იქნებ გაიყიდოს-მეთქი.

ვფიქრობ: ვანოს ძალიან უჭირს, ნეტავი გაყიდოს და ფული არ მინდა, თვითონ მოიხმაროს. ამ დროს იღება კარი და შემოდის **ვ.ვანიშვილი.**

2004 წ. 26 დეკემბერი

14 30 საათი

მომიტანეს ლექსები გაზეთ „თრიალეთში“ გამოსაქ-

ვეყნებლად.

ვკითხულობდი მათ და ვარჩევდი უკეთესებს. ერთ-ერთი ლექსის სათაური იყო „ნუკრი“.

გამახსენდა ნუკრი ქველიძე, რომელიც **გია რევაზიშვილის** დახმარებით აპირებს ერთი მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებას. გიაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. გულით მინდა, რომ საქმე გამოუვიდეთ. ვფიქრობ: აბა, შენ იცი გია რევაზიშვილო, მოინდომე ძალიან, რომ საქმე გამოვიდეს.

ამ დროს იღება კარები და შემოდის **გია რევაზიშვილი,** რომელიც ერთი კვირით წასული იყო დანიაში საფეხბურთო საქმეებზე.

2004 წ. 31 დეკემბერი

18 30 საათი

ტელევიზიაში სარეკლამო შეკვეთა მქონდა ჩემი ახლადგამოცემული წიგნის შესახებ. ხან გაუშვეს, ხან არა. რამდენჯერმე შევახსენე, ლამის თავი მოვაბეზრე. სულ იმის შიში მქონდა, რომ ისევ და ისევ გამოტოვებდნენ.

31 იანვრის საღამოს მიგეხსენებათ ყველა რეკავს თავის ახლობლებთან და ულოცავს დამდეგ ახალ წელს. მეც ავტეხე რეკვა და მრავალს მივულოცე. ამასობაში გამომრჩა სარეკლამო დრო და ვერ გავიგე, ჩემი წიგნის შესახებ გაუშვეს თუ არა ცნობა.

ტელევიზიაში დარეკვისგან და ერთხელ კიდევ შეხსენებისგან, თავი შევიკავე — ვიფიქრე აღარ ღირს მათი შეწუხება-მეთქი. არადა, მაინტერესებდა, როგორც ნებისმიერ ადამიანს — გავიდა თუ არა **რეკლამა.** როგორ გამეგო არ ვიცოდი.

ერთ-ერთ მეგობარ ოჯახში დარეკვისას და მილოცვის შემდეგ, ოჯახის დიასახლისიც მილოცავს ახალ წელს და თან ამატებს: მომილოცნია წიგნის გამოცემა, წელან **რეკლამაში** გავიგეო.

ესეც ასე! რაც მინდოდა გავიგე.

2004 წ. 26 ოქტომბერი

20 24 საათი

სამსახურიდან მოვედი სახლში. მეუღლეს ვეკითხები — თბილისიდან ხომ არ დაურეკიათ **შვილებს!** როცა მითხრა, არაო, ვუთხარი — მაშინ მე დავრეკავ და მობილური მოვიმარჯვე. ამ დროს რეკავს ჩემ ტელეფონზე ზარი — დავხედე ნომერს, — მირეკავდა **უმცროსი ვაჟი** თბილისიდან.

2004 წ. 31 მაისი

ორშაბათი, ღამის 21 30 საათი

„იმედის“ არხზე დამთავრდა სერიალი „ცხელი ძაღლი.“

ამ დროს დავიწყე ფიქრი გაზეთ „თრიალეთის“ ლიტერატურული გვერდისთვის დაწერილი წერილის შესახებ, რომელიც შერგილ **სუხიტაშვილმა** დაწერა შ.ნიშნიანიძის ლექსების შესახებ, მაგრამ არ უნდა, რომ მისი ავტორობით გავიდეს: „რამე მოგონილი გვარი მიაწერეო“ — მეც **სუხიტაშვილი** გადავარუსულე: „სუხოი“ ხომ მშრალია ქართულად. მე შევარჩიე ავტორის გვარად მშრალაძე. სწორედ გვარ **სუხიტაშვილზე** ვფიქრობდი, როცა ფილმის ბოლოში, ტიტრებში ამოვიკითხე გვარი სუხიტაშვილი. იმ წუთში დავიწყე ამ მომენტის ჩაწერა და ტელევიზორიდან

მესმის გვარი **სუხიშვილი** – კიდევ ერთი „სუხოი“.

2004 წ. 11 აპრილი

20 ^{14} საათი

არხი „РТР планета“ გადმოსცემენ რუსი კომპოზიტორის ბოგუსლავსკის სიმღერას.

ვიფიქრე ასო „ბ“-ზე რამდენი კომპოზიტორის გვარს გავიხსენებდი და დავიწყე ჩამოთვლა: ბეთჰოვენი, ბახი, ბოროდინი, ბიზე... აქ შევჩერდი და დავიწყე ფიქრი. გავიდა 2-3 წუთი, მაგრამ მეტი გვარი ვერ გავიხსენე. როგორც იქნა ამოტივტივდა გონებაში მელიტონ **ბალანჩივაძე**. როგორ ვერ ვიხსენებდი?

ამ დროს ტელეგადაცემიდან მესმის ბალანჩინის (მელიტონ **ბალანჩივაძის** ძმის) ქება-დიდება. (!?)

2004 წ. 30 მარტი

დაახლოებით 19 საათი

ეს-ეს არის დამთავრდა ტ/კ „თრიალეთი“-ს არხით გადაცემა „ლიტერატურა და ხელოვნება“. ამჯერად პროგრამაში იყო ჩემი ლექსები, რომლებსაც კითხულობდნენ გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის მსახიობები. გადაცემა მოამზადა და ჩაწერა **კობა** გაბეშიამ.

გადაცემა მომეწონა. გავედი სამზარეულოში და გადავწყვიტე ჩაის მომზადება. თან ვფიქრობ: „ყოჩაღ **კობა**! კარგი გადაცემა გამოგვივიდა; საერთოდ, კარგი ბიჭი ხარ.“

ამ დროს რეკავს ტელეფონი, ავიღე ყურმილი და მანამ ხმას გავიგონებდი წარმოვთქვი: „სალამი **კობა**.“

ბიჭო, რა იცოდი, რომ მე ვარ. სიგნალი მივიღე-მეთქი, ვუპასუხე სიცილით.

აი, ასე.

2004 წ. 7 მარტი

8 ^{30} საათი, კვირა, ქ.გორი, სტადინის 24/6

ჩართული მაქვს ტელევიზორი I არხზე. მხოლოდ ტიტრი ჩანს და ისმის დიქტორის ხმა. ამ დროს ვფიქრობ: დროზე მოვიპარსო წვერი, ვაი თუ სინათლე ჩაქრეს. და კიდევ გავიფიქრე – დღეს TV-ლოტოს გათამაშებაა და ნეტავ სინათლე იყოს-მეთქი.

ზუსტად ამ მომენტში ჩაქრა სინათლე. დავიხედე საათზე 8 ^{30}.

2003 წ. 28 დეკემბერი

9 ^{25} საათი

ჩართული მაქვს ტელევიზორი ტ/კ „თრიალეთი“-ს არხზე. გადმოსცემენ სამძიმრის განცხადებებს.

მეუღლე მეუბნება: წუხელის, როცა შენ უკვე გეძინა, დარეკა **გაიოზმა**-ო (ჩემი ბიძაშვილის შვილია), მგონი რეკავდა სოფელ შილდიდან, წინასწარ მოგვილოცა ახალი წლის მოსვლა და შვილიშვილის შვილის შეძენა.

ვინა, ვინ დარეკა? – ვეკითხები მე. ვერ გაიგე კაცო, **გაიოზმა,** შენმა ნეთესავმა. ამ დროს (9 ^{24} საათზე) ტელევიზორიდან გაისმა!.. „**გაიოზი** უსამძიმრებს...“ და ა.შ.

2005 წ. 24 სექტემბერი

შაბათი, 13 ^{30} საათი

მივდივარ ზურა და გია რევაზიშვილების დედის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად.

წამომეწია სწრაფად მოსიარულე **გივი** აკოფაშვილი და ერთად გავაგრძელეთ გზა.

დიდი ხნის უნახავებმა გავიხსენეთ ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდი, ჩვენი ყოფილი თანამშრომლები, უკვე წასულებიც და ბევრი საინტერესო რამ.

სანამ გივი რაღაცას ყვებოდა – ფიქრით მივწვდი ოციოდე წლის წინანდელ ამბავს, როდესაც კაფე-საღამოზე ოდნავ ნასვამმა **გივიმ** გადაწყვიტა ჩვენ სიმღერას აჰყოლოდა და... ყველაფერი გააფუჭა, რადგანაც დიდი მუსიკალური სმენით ვერ დაიკვეხნის. გუნებაში გამეცინა და ვიფიქრე, ნეტავ მობილურ ტელეფონზე რომელი მელოდია აქვს დაყენებული?

ამის გაფიქრება იყო და დარეკა ჩემმა მობილურმა ტელეფონმა, რომელიც ქურქისა და პულოვერის ქვეშ ქამარზე მქონდა მიმაგრებული. უკრავს და უკრავს „ჩემი" მელოდია. სანამ ხელების ფათურით მივაგნებდი და ამოვიღებდი ჩემ მობილურს, **გივიმ** ხელების ტყაპუნით მოისინჯა ყველა ჯიბე, თან გაკვირვებული გაიძახოდა: კაცო, თითქოს სახლში დავტოვე და აქ როგორ მწვდება ხმაო.

აღმოჩნდა, რომ მე და **გივის** ერთი და იგივე მელოდიები გვქონია შერჩეული მობილურ ტელეფონებზე.

2003 წ. 5 ნოემბერი

8 55 საათი

გაზეთურაზე ჩაიდანი შემოვდგი და წყლის ადუღების მოლოდინში გავაგრძელე ი.ძუხინის წიგნის „სტალინისა და ბერიას მკვლელობა" კითხვა. (წიგნი სულ რამდენიმე დღით მათხოვა ჯ.ალავერდაშვილმა). 659-ე გვერდზე (ბოლო აბზაცი) წერია ვინმე გოლდე მეიერის შესახებ (მგონი ისრაელის

პრემიერმინისტრი იყო გასული საუკუნის 50-იან წლებში).

ამ დროს, ზუსტად 8 საათსა და 55 წუთზე რადიოდან (FM 100,4) ისმის პროგრამა „დილაადრიანის" წამყვანის ხმა: „... გოლდე მეიერის სახელი დაკავშირებული იყო მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ძვირფასი და დიდი ბრილიანტის ირგვლივ ატეხილ ამბებთან"-ო.

მოდი და ნუ გაგიკვირდებათ!

2003 წ. 6 ნოემბერი

8 06 საათი

ვფიქრობ ჩემ შვილზე, რეზოზე, რომელიც თბილისში ცხოვრობს. დიდი ხანია არ მინახავს და ვერც ვერაფრით დავეხმარე. აი, ახლა კი მაქვს საშუალება, რომ ცოტა ფულით დავეხმარო, მაგრამ ვის გავატანო?.. ვფიქრობ: „...ნეტავი **ვაჟა** გამოჩნდებოდეს (რეზოს თანაკლასელი და მეგობარი) მას საკუთარი მანქანა აქვს და ხშირად დადის თბილისში. ნეტავი **ვაჟა** გამოჩნდებოდეს..."

ამ დროს რადიოდან შემომესმა სიმღერის ხმა: **„...ვაჟაუ შენი ჭირიმე..."**. დავხედე საათს, იყო ზუსტად 8 საათი და 6 წუთი.

მართლაც გასაოცარია.



2003 წ. 4 დეკემბერი

ხუთშაბათი, 8 40 საათი

ძველ ჩანაწერებს ვქექავ და ვათვალიერებ, თან რადიოს ვუსმენ (რაღაცას ვეძებ).

ხელში მომხვდა საოცრად **თეთრი** ქაღალდის ფურცელი, **სუფთა** და ბრჭყვიალა. ასეთი საწერი ქაღალდი (მგონი ცარცის ქაღალდს უწოდებენ) არასდროს მქონია,

თან ზედ არაფერი წერია. ახლა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, საიდან მოხვდა ეს ფურცელი ჩემს ნაწერებში, მაგრამ, ხომ არის შემთხვევა, როცა ადამიანს რაღაც აეკვიატება და მოსვენებას არ აძლევს. მეც ასე დამემართა, ტვინს მიხვრეტავს შეკითხვა: რა ქაღალდია, რატომ არის ასეთი **თეთრი,** საიდან გაჩნდა აქ და ა.შ. რადიოდან მომესმა რამაზ საყვარელიძის ხმა: „... ეს **სუფთა, თეთრი** ფურცელია...“ – საუბრობდა რუსეთ-საქართველოს ახალ პოლიტიკურ ურთიერთობათა დასაწყისზე.

იყო 4 დეკემბრის 8 საათი და ორმოცი წუთი.

1980 წ. 18 სექტემბერი

დაახლოებით 12 15 საათი

გიზო ბუთურიშვილის მანქანით თბილისში მიდიან ჯემალ ინჯია და ვანო ზაზუნაშვილი.

ჩართული აქვთ რადიომიმღები და ისმის რომელიღაც ლიტერატურული გადაცემის ხმები.

გიზო ბუთურიშვილმა, ნატახტართან ახლოს, უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები და აშკარად შექმნა საავარიო სიტუაცია.

ვანო ზაზუნაშვილმა – შეშინებულმა და აღშფოთებულმა მიახალა გიზოს, „**რას შვრები ბიჭო** გიზო“-ო.

ამ დროს რადიოდან შემოესმათ: „**რას შვრები ბიჭო** ავქსენტი.“

იყო ზუსტად 12 საათი და 15 წუთი.

2006 წ. 7 თებერვალი

სამშაბათი, 10 35 საათი

ქ.გორი, სტალინის 24, ბინა 6

როგორც წესი ჩართული მაქვს ტელევიზორი. ერთდროულად რაღაცეებს ვკითხულობ, რაღაცეებს ვიწერ და ვინიშნავ. ტელევიზორში („იმედის“ არხზე) რაღაც სერიალს უჩვენებენ. შიგადაშიგ აღწევს ჩემამდე ცალკეული ფრაზები...

გადავწყვიტე კიდევ ერთი ჩანაწერის გაკეთება. წინ მიდევს ჯანსუღ ჩარკვიანის 1978 წელს გამოცემული წიგნი. (45 წლის პოეტი) გადაშლილი მაქვს 108-ე გვერდზე, ვკითხულობ ლექსს „მცხეთა“. უნებურად შევჩერდი მე-9 სტრიქონზე „**პატიებას** შენთან ვეძებ.“ ამ დროს ტელევიზორიდან მესმის კაცის ხმა: „ვის უნდა მივმართო **პატიებისთვის?**“

მართლაც საოცრებაა.

(მოღრუბლული ამინდია. სტალინის ქუჩიდან ისმის ავტომანქანების ხმაური).

2006 წ. 14 თებერვალი

16 30 საათი

კაკო ბიძინაშვილი მოვიდა ჩემთან და დამიტოვა ახალი ლექსები – ერთი გადათვალიერე და შენი შენიშვნები მითხარიო.

ამოიღო ბღუჯა ქაღალდებისა და დადო მაგიდაზე. მე ვუთხარი – დაგელაგებინა და დაგენომრა მაინც გვერდები, ასე ადვილია შენიშვნების გაკეთება და დაფიქსირება. არა უშავს რაო. ვეკითხები რამდენი ლექსია-მეთქი. არ ვიციო, მიპასუხა.

– ალბათ **ორმოცამდე** იქნება ვუთხარი და ხელში ავიღე ქაღალდების ბღუჯა. კაკო წავიდა, ავტობუსზე აგვიანდებოდა. მე დავალაგე ფურცლები, მოვიყვანე წესრიგ-

ში, მივასწორ-მოვასწორე, გადავკეცე-გადმოვკეცე და გვერდები დავნომრე.

გამოვიდა ზუსტად ორმოცი ლექსი!!

2006 წ. 6 თებერვალი

13 28 საათი

თელავიდან დამირეკა ჩემმა დამ და მომილოცა მეუღლის დაბადების დღე. მასაც რაღათქმაუნდა მიულოცა.

მერე შემატყობინა ცუდი ამბავიც, რომ გარდაიცვალა ბიძაშვილი დალი და რომ დაკრძალვა ხუთშაბათსაა.

შემდეგ საუბარი გავაგრძელეთ მე და ჩემმა მეუღლემ. მეკითხება ირა: ვინ დაკრძალავს იმ საწყალს, მეუღლე აღარ ჰყავს და აღარც მშობლებიო...

ამ დროს ტელევიზორიდან მესმის კაცის ხმა, რომელიც ქალბატონს მიმართავს: „...ვინ გააკეთებს **დაკრძალვის ორგანიზაციასო...**“ ტელევიზორი ჩართული იყო „რუსთავი-2“ არხზე. უჩვენებდნენ რაღაც სერიალს. იყო 13 საათი და 30 წუთი.

2006 წ. 28 თებერვალი

11 45 საათი

მზიანი დღე.

გაზეთის („ხალხის გაზეთი“) რედაქციიდან ფეხით გავუყევი გზას სახლისკენ. მე-9 საშუალო სკოლას რომ ჩავუარე, გავიხსენე სკოლის დირექტორთან ქ-ნ ცირა ჯაჯანიძესთან ამასწინდელი შეხვედრა საბავშვო წიგნის გამოშვებასთან დაკავშირებით. ფიქრი გავაგრძელე: დატანჯული ქალია ქ-ნი ცირა. მან ხომ ვაჟიშვილი დაკარგა ე.წ. აფხაზეთთან ომში. მიუხედავად დიდი ტრაგედიისა იგი

ვაჟკაცურად იტანს ყველაფერს, უფრო მეტიც — გამოირჩევა აქტიურობით და კარგი ორგანიზატორული ნიჭით. იგი ერთ-ერთი საუკეთესო დირექტორია გორის რეგიონში. ვაგრძელებ ფიქრს: იმედად ყავს მეორე ვაჟიშვილი **მიშიკო,** რომელიც ზედმიწევნით ზრდილობიანი, კულტურული და საქმიანი ახალგაზრდაა. ასეთი შვილით მართლაც უნდა იამაყოს მშობელმა.

ეს ფიქრი არ მქონდა დამთავრებული, რომ დავინახე: ჩემს შესახვედრად მოდიოდა **მიშიკო,** მისთვის დამახასიათებელი სიარულით. მოდიოდა ჩემთვის უცხო ახალგაზრდასთან ერთად.

უკვე აღარ მიკვირს ასეთი რამ, თუმცა რა განაპირობებს ასეთ დამთხვევას, დღესაც ვერ გამიგია.



2006 წ. 7 მარტი

13 25 საათი

ტელევიზიით („რტრ პლანეტა“) გადმოსცემენ სერიალ „შავი ქალღმერთის“ სამოცდამეცხრე სერიას. გამომძიებელი კალამს და ქაღალდს აძლევს ეჭვმიტანილს და მოითხოვს, რომ მან ორ საათში დაწეროს ჩვენება ყველა წვრილმანის ჩათვლით. დროის ამოწურვის შემდეგ გამომძიებელი მოთხოვს ჩანაწერებს. ეჭვმიტანილი პასუხობს, რომ ჯერ არ დაუმთავრებია წერა. გამომძიებელი ბრაზობს: „...როგორ თუ არ დაგიმთავრებია? ამ დროში დავწერდი...“ გამომძიებელი წამით შეყოვნდა; ეტყობა ფიქრობდა, თუ რა ეთქვა, რას „დაწერდა...“

მე გავიფიქრე — ახლა იტყვის, რომ ამ დროში დაწერდა „ომსა და მშვიდობას.“ ვერ მოვასწარი ფიქრის

დამთავრება, როცა გამომძიებელმა მიახალა ეჭვმიტანილს: „За это время, я написал бы „Вайну и мир“-ო.

2006 წ. 11 მარტი



00 ¹²⁄₁₂ საათი

ტელევიზიით („რუსთავი-2“) უჩვენებენ მხატვრულ ფილმს „ბუნკერი“.

ჰიტლერი, წარმოდგენილი გოგონებიდან არჩევს მდივანს და ესაუბრება მათ.

ერთ-ერთ გოგონას ეკითხება თუ რამდენი წლისაა. ვიდრე გოგონა უპასუხებდა – მე გავიფიქრე: „ახლა ეტყვის, რომ არის 22 წლის.“

და მართლაც, გოგონა პასუხობს: „ოცდაორი წლის ვარ, ჩემო ფიურერო.“

უნდა დამიჯერო, ძვირფასო მკითხველო.

ბოლოსიტყვაობა

აი, პატივცემულო მკითხველო, მოგაწოდეთ გასაცნობად ის რაც წლების განმავლობაში მოვაგროვე, თუმცა გავიმეორებ, რომ დიდი უმრავლესობა ე.წ. ტელეპათიური ფაქტებისა ან არ იქნა დაფიქსირებული ან მიმოიფანტა და დაიკარგა.

რაც სახეზე გვაქვს, იმის მიხედვით რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება ცოტა ძნელია, თუმცა ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ მართლაც უცნაურ მოვლენებთან გვაქვს საქმე, რომლის მეცნიერულად ახსნა თითქმის შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის).

იმის თქმაც შეიძლება, რომ ჩემს მიერ დაფიქსირებულ ე.წ. ტელეპათიურ მოვლენათა უმრავლესობა მოდის თებერვლის თვეზე. რატომ არის ასე, ძნელი სათქმელია. იქნებ ამ თვეში დედამიწის ატმოსფერო უფრო „სუფთაა“ და ადვილად ხდება ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება? (იხილე წინასიტყვაობა).

მე მგონი ცოტა ღრმად შევტოპე, ამიტომ აღარ გავაგრძელებ ფანტასტიკურ მსჯელობას და დაველოდები მკითხველის რეაგირებას.

ავტორი

ვახტანგ ჭანკოტაძე
ტელეპათიური თავგადასავლები

Вахтанг Чанкотадзе
ТЕЛЕПАТИЧЕСКИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ

Vakhtang Chankotadze
TELEPATHIC ADVENTURE

რედაქტორი:	აკაკი გიძინაშვილი
კომპ. უზრუნველყოფა:	მირიან ხანიშვილი
ოპერატორი:	მაია ღარიბაშვილი